

1134

2003

1.3


პრილი

№3 (189)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

31 პაიტი

ფასი 150 თეთრი



#3 2003

გოდოს პოლონიანი - ნახევარი საუკუნე

არილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური
ასოციაცია "არილი" გამომცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასავლეთბელის სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - შპს შუქი, რამეზე დამფარვი
ვარაუდით მისი
განმარტავითი ლეგისპონსი

მთავარი რედაქტორი
შადიგან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მალაზ ხარბედია
(მთრედაქტორის მოადგილე)

ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრაღიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვასტანგ კომახიძე
ვასილ მალაფერაძე
ზევიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფარუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მთავარი - ნანა ჩხვიმიანი
მომხატველი ღირსმეტორი -
გიორგი სუბარი

მომხატველი უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ: 93-37-43; 99-83-00

ფაქსი: 98-67-90;

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№31 მაისი, 2003

ლიბერატურა

ჯუანშერ ტიკარაძე ლექსები	1
მაკა მიქელაძე ერთი მოთხრობა სექსუალ	4
ზევიად რატიანი ეზრა პაუნდი და DES IMAGISTES	9
ლუი გოდუაუტი თქვინ დღეს ნიცუპ ხომ არ შეხვედრინათ?.....	19
პარუკი შურაკაში ლექსინგბტონის ანტილიბერტი	22
ფრანსის პონფი მიმრუბ	27
ტომას ვენცლოვა ჩისლავ მილოში: სასოწარკვეთილება და გაღლი	32
დავით ჯავახიშვილი ნაღირროგისას	36
თემურ ფირცხალაიშვილი ლექსები	43
აკო გავაშელი ჰიპოფორმი	45
მარიამ ლაშია "ჭურჭელს თინისგან აგზადებან, გაბრამ ჭურჭლის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ძმისი"	49
"გოდოს მოლოდინში" ნახევარი საუკუნე	
პიტერ პოლი გოდოსგანი	50
ბრუქს ატიკინსონი სემუელ გეპატის "გოდოს მოლოდინში"	53
ნორმან ბერლინი რატომ მინცდავამინც "გოდოს მოლოდინში"	54
რელიგია	
ლელა პატარაძე სამართველო ეპროვის ისტორიის კონტაქტები	62

ჯუანშერი მიქარაძე

სახის ბაცივილიზირების ჟამს შეძენილი ლეძსი (ლეძსი?)

უსაფრთხო სამართებლით (ვერნებ, ასე ჰქვია, არა?)
ვიპარსავ სახეს,
თან სარკეში მისი ჭვრეტით ვტკბები.
ო, თქვენ რამე ისეთი არ იფიქროთ,
არაფერია განსაკუთრებული:
ცხვირი, თვალები.
თქვენ წარმოიდგინეთ, ნიკაპიც თავის ადგილას
აქვს მიმაგრებული,

ტუჩიც,
წურბიც.
მოკლედ, სახეა.
თავს ნებას ვერ მივცემ, ვითხრათ:
გვიფლები,
ეს სახე ისე მიფეხვარს-თქო.
თუმცა,
ჯერჯერობით არც მისი ფურთხების დაუოკებელ
წაღილს არ შეუკუყვივარ.


თანაც, ევეც არის,
მას თქვენ უკეთ იცნობთ,
ვიდრე თავად მე:
ქუჩაში რომ შემსვდეს
(დაუშვავთ ასეთი რამ),
შეიძლება ვერც ვიცნო.
შეიძლება კი არა,
ალბათ ვერც ვიცნობ.
აბა, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა თავში
(თავი სახისზედა ნაწილს ჰქვია,
ჭკუა კი, წესით, იქ უნდა იმყოფებოდეს):
ჩემი სახე გუშინ ქუჩაში მოსეირნობდაო.
მომესალმა და, წარმოვიდგენიათ? ვერც ვიცანიო.
მე კი, უნდა მოვახსენოთ,
ნამდვილად ჭკუათმყოფელი გახლავართ.
ნამდვილად.

ამას თქვენ გეუბნებით,
თქვენ -
ვინც მე არც კი მიცნობთ.
ვინც ჩემს სახეს იცნობთ მარტო.
გამარჯობათ!
მეც ჯუანშერი მქვია
და თქვენი ნაცნობი სახის
(რომელიც თქვენ რატომღაც ჯუანშერი გგონიათ)
ერთადერთი,
შეუზღუდავი
და შეუზიარებელი მფლობელი გახლავართ
(თუმცა კონკურენტი ბევრი მყავდა).
იგი (ჩემი სახე)
სამყაროს წიგნში სათანადო ნომრით ჯუანშერი
ჯუმბერის ძე ტიკარაძის

სახელზე რეგისტრირებული
(საჯაროდ ტარების უფლებით),
რაც 3 (სამი) ანგელოზისა
და 3 (ამდენივე) ავსულის ხელმოწერით არის
დამტკიცებული.

ამ სახის გარდა,
მე ჩემი სხეულის კიდევ მრავალ
(თითქმის სუფველა)
უძრავ და მოძრავ ნაწილს ვფლობ
და ვაკონტროლებ.
მაგრამ ამჟამად მათზე არ შეგნერდები.
მე იქ.
ე.ი. ჩემი სახის შიგნით, ვცხოვრობ
და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვმოღვაწეობ კიდევაც.
მაგრამ თქვენ ალბათ ამასაც არ დამიჯერებთ.
კეთილი.
ნულარ ვიდავებთ.
ეგრე იყოს.
თქვენთვის მიუწუნია ეგ სახე:
ნება გეძლევათ - შეიძულოთ,
შეიფეხვართ,
ან, ჯანდაბას თქვენი თავი, მოიწონოთ მაინც.
აი, შეფურთხება კი...
ოო, ეგ ნურას უკაცრავად!
შეფურთხება ჩემი პერეოგატივია,
ჩემი ვალია პროგრესული კაცობრიობის წინაშე,
გნებათ - მოვალეობაც -
წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელი,
დემოკრატიის,
რელიგიის,
სინდისისა და უსინდისობის თავისუფლების,
სქესის შეცვლის,
მამათამაშობის
და მინი-კაბების ტარებისათვის ბრძოლას შეწირული
თაობების განწირული ძახილი,
მათი უმანკო ფიქრების სიმფონია,
ჟენევის კონვენციითა
და ჰელსინკის დასკვნითი აქტით დეკლარირებული.
და მეც -
აი, აქვე,
ამ სარკის წინ -
უსაფრთხო სამართებლით (კი, ნამდვილად ასე ჰქვია)
და ასაქაფებელი ფუნჯით ხელში
პირობას ვდებ
და საზეიმოდ ვფიცავ,
რომ ამ უფლებას
ერთხელ მაინც ღირსეულად გამოვიყენებ.

HOGE 2



მოსი ლექსი სარკმლთან

I
ერთი და იგივე ცოდვა:
რამდენჯერ შეიძლება რომ მოინანიო?


ან რაა მაშინ სინანული:
ზიზღი წარსულის და მომავლისაც,
თუ უბადრუკი მოტყუება
საკუთარ თავის?

II
ჯვაშურ,
ასე შეიძლება თავიც მოიკლა...

მაგრამ, გვერა კი,
რომ ახლა მაინც ამბობ სიმართლეს?

III
ღმერთო,
როგორი ნეტარებით გამომიძერწავს
ჩემი ნიღაბი!

ხშირად ხომ თავად მეც მგონია -
მართლა ის ვარ-თქო,
ვისაც ვთამაშობ.



IV
ჰმ, ლექსები!

რა არის ჩემთვის პოეზია?
სამალავი,
ბნელი სარდაფი,
სადაც საკუთარ სიბინძურეს ვმალავ,
რომ დაგენახოთ:
შემხედეთ ერთი,
რა სუფთა ვარ-თქო!

ასე ქუჩის ძალი იქცევა ხოლმე,
რომ მოისაქმებს
და უკანა ფეხებით ასფალტს მოფხაჭუნის:
ვითომდა მიწა წაეაყარე
და დაემაღლო
და ნაქნარისგან ვალმოხდილი გაძუნძულდება.

* * *

დილით, დილით -
თუ თერთმეტ, თორმეტ ან სულაც პირველ საათს
ჯერ კიდევ დილა ჰქვია -
როდესაც გამოგვეციება ნამთვრალეზე,
როდესაც ნამთვრალეზე საკუთარ ლოგინში აღმოაჩენ
საკუთარ ტანს

და როდესაც საკუთარი სიმარტოვით დაშინებულ
წამოწვევ თავს
და დამძიმებული თვალებით მიმოიხედავ ირგვლივ
და როდესაც ოთახში მიმოიყრილი ბავშვის სათამაშოები
და კედელზე ჩამოკიდებული საათი და სურათები
და თვით კედლები
და ჰერინგ და იატაკიც ზიზღით შემოგზედავენ
და როდესაც შენც შეიგრიძნობ სხეულის სიღრმიდან
წამოსულ ზიზღს

და მის გემოს
და როდესაც გგონია,
რომ ამ გემოსგან აგერ ახლა წამოგაზიდებს -
აი, მაშინ -
შენ წაიფარებ სახეზე საბანს
და მოიკუნტები საბნის ქვეშ
და საბნის ქვეშ შეემალები ფანჯრებიდან შემოჭრილ
დღის შუქს

და კედლებს
და სურათებს
და ოთახში მიმოფანტულ ბავშვის სათამაშოებს
და მაინც შეიყოლიებ საბნის ქვეშ ყველაფერს,
რასაც შეემალებ
და მაინც შეიყოლიებ იქ წუხანდელი სიზმრის ნაფლეთებს
და დათრგუნულ,
მაგრამ მიუეწივებელ ტკივილებს
და არეულ გახსენებებს წარსულზე და მომავალზე
და ასასრულებლად განწირულ დამარცხებებს...
მერე კი მაინც წამოდგები ბოლოს და ბოლოს
და გაათრევ გალოპრილ სხეულს
და შეხვალ აბაზანაში
და იბან-იბან-იბან-იბან იქ ისეთი გასატიკებით,
თითქოს აბაზანის წყლით შეიძლებაოდეს
ცოდვების ჩამორეცხვა.

* * *

ხანდახან,
შენ გეჩვენება ხოლმე,
რომ უკვე მოკვდი
და, აი, ახლა,
როდესაც თითქოს ამ კედელს იქით უხილავ ლანდს
მიჩერებულდი

ფიქრობ ამაზე -
მარტო გგონია, -
რომ მართლა ფიქრობ სინამდვილეშიც,
რომ, როგორც ექო იმეორებს და აგრძელებს
უკვე აღარარსებულ ბეგერებს,
ისე მივლილ შენს გონებაში გრძელდება ეს ჩვეული ფარსი,
რომ ძველა კი არ დაფუსფუსებს ახლა ოთახში,
არამედ მისი საწყალი ასლი, მასსოვრობით გამოძერწილი
და ეს ქალაქიც -
რომელსაც თითქოს კიდურები გახევებული
გამოჩრია ტლანქად ნისლიდან -

მხოლოდ უბრალო მირაჟია გარდასულისა,
 სხვა არაფერი,
 რომ სინამდვილეში შენ წევხარ ახლა კუბოში
 და რომ ეს კუბო სავეცა ყვავილებით
 და რომ ხელები გაქვს გულზე დაკრეფილი
 და თვალები კიდევ - დახუჭული
 და რომ კედელზე ჰკიდია შენი სურათი გადიდებული
 და რომ გარეთ დგანან შენი მეგობრები და სივარულს ეწევიან
 და შენ დაძაბული ღამობ (ეს უკვე აქ სულ სხვა "ახლა"-ში),
 რომ როგორმე გაარღვიო ეს მაცდური ბანვი,
 ეთერისაგან გონებას რომ მოუქსივია.

და მაშინ არის ზუსტად ეს წამი,
 ეს ერთი წამი,
 როდესაც რაღაც გაუსაძლის გახევებამი
 გეჩვენება,
 რომ ცოტა კიდევ,
 რომ კიდევ ოდნავ,
 სულ, სულ, სულ ოდნავ,
 სულ ერთი ბეწოც
 და არარაში გაღლებიან ეს კედლები,
 ეს ოთახები
 და ეს ქალაქიც ჩანითქმება თავის ცოდვებში,
 ეს ცაც და მიწაც გაიღვება თვალებს შუა მოუხელთებლად,
 როგორც მუსიკის ბოლო აკორდი
 და მას მიყვება ეს ყრუ ხმები და შერჩენებები
 და არაფერიც აღარ დარჩება.

* * *

რომელი არის ჩემი სახე ამდენ ნილაბში?
 უხილავ მათზე ასხმულები ქანაობენ ისინი ჩემს წინ,
 ისინი ქანაობენ -
 ვილითულები, დაღვრემილები, გაქვავებულულები,
 ბედნიერები, უბედურები, მივიწყებულები,
 გულუბრყვილოები, ცბიერები, გულჩათხრობილები -
 ისინი ქანაობენ -
 უფლისწულები, მათხოვრები, მომსახურეები,
 მეამბოხეები, კანონის დამცველები, ბურგერები,
 პოეტები, კრიტიკოსები, ავტობიოგრაფები,
 პოეტები, შემოღობი, ოჯახის მამები -
 ისინი ქანაობენ, ქანაობენ -
 შეცდენილები, მაცდურები, ენებისგან დაცლილები,
 მართლები, მტყუნები, მოთამაშეები,
 დამკვირვებლები, დამცინავები, დაბოლომლები,
 დასმენილები, დამსმენები, ამორფულები,
 განსასჯლები, განმსჯელები, განუსჯელები,
 წმინდანები, ცოდვილები, შეწყალებულები -
 ისინი ქანაობენ ჩემს წინ,
 ისინი ქანაობენ,
 ქანაობენ,
 ქანაობენ,
 ისინი ქანაობენ -
 მოკლელები, მკვლელები, აჩრდილები,
 დასიზმრებულები, არსებულები, არარსებულები,
 დაღუპულები, დასაღუბავები, გაიცინებულები -
 ისინი ქანაობენ ჩემს წინ
 და მე
 ვაწყვები ჩემს თავს ვიტრინებში
 და ვერ მიპოვნია ვერსად გასასჯელი.

* * *

ბედისწერის უხილავო აბლაბუდებო,
 ხან უხეშო,
 ხანაც უნაწირო მათგინო,
 რა არ მოხლართულა თქვენითი:
 მათხოვრის ჯვალო თუ დიდოფლის მანტია,
 წმინდანის ქიტონი თუ ჯალათის ნილაბი,
 ჩვილის საფენი თუ კუბოს სუღარა...
 ვინ ამოიცნობს, ბედისწერავ, რა გაქვს ჩაფიქრებულო?
 ვინ გაიგნებს გზას შენს საიდუმლო ლაბირინთში?
 ვინ მტყვის, ვინ - რად მიაყენებ ადამიანს კედელთან
 და მერე,
 როცა გადაიწურება იმედიც და სასოწარკვეთაც
 და როცა ჩამოყრის ხელებს
 და თვალებს დახუჭავს,
 რად დაუფენ იმას ფერხითი ქვეყნიერებას?
 რომ ისევ შიშველი კედლები დაანახო?
 ვინ დამაჯერებს,
 რომ მარადიულია -
 ან შენი მოწყალე დიმილი,
 ან შენი გულბორქუმი გასასტიკება?
 განა ის არის უბედური,
 ვინც აიტაცე მეცხრე ცამდე
 და ღრუბლებს იქით მზე დაანახე,
 წამით,
 მხოლოდ წამით დაანახე მზე
 და შედეგ ღაეცი ძირს
 და გაიწე, გააცამტყერე?..
 ო, არც ის არ არის უბედური,
 ვინც გამოარჩიე ყველასაგან,
 მილიარდისგან მხოლოდ იგი გამოარჩიე,
 რათა გედევნა ერთი უბედურებისგან მეორისაკენ
 და ისიც ვარბოლა
 და ვარბოლა ისიც -
 ყელში ადამიანური ბოდმისა
 და დაუმარცხებელი უმწიფობის გორგალი ვაჩხეროდა
 და ჭლებუქსან დაჭიმული ფილტვებით
 ნაწვეტ-ნაწვეტ ისუნთქავდა შხამიან ჰაერს
 და ვარბოლა მაინც,
 თუშცა შეეძლო დაწოლილიყო
 ან დაეჩოქა
 და ყველგან შენს მათრახს აწყვებოდა,
 სანამ არ ჩაგაღე საფლავეში
 და დამშვიდებით სანამ მიწა არ მიაყარე...
 განა ესენი არიან უბედურები?
 არა, არა!
 უბედური ის არის მხოლოდ,
 ვინც შენთვის თითქოს არც არსებობს ამ ქვეყანაზე
 ვინც შენი ჯადო-სიზმრებიდან განღვწე და არც გასუნუნდება...
 ივია მართლაც უბედური და საცოდავი,
 ვისაც არასდროს არ უხილავს ქალაქი-ლანდი -
 შენს მიერ მისთვის აღთქმული და მოჩვენებული,
 ვისაც არასდროს შეუყნოსავს შიშნარევი ორიოლივით
 ამოუთქმელი და შემშლელი შებირებები -
 ქარში ჩაშლილი,
 ან არასოდეს შეუგრძენია შიშველ სხეულზე
 შენი ზღარბებით მოქსოვილი სამოსელის სიმსუბუქე -
 პარზე უფრო შეუწუხებელი,
 ანაღა სიმძიმე -
 აუტანელი, დამთრგუნველი, გამომჩნეველი
 და ვინც ტანსაცმელს
 ვაგზლის ბაზრობაზე
 ან თუნდაც ყველაზე მოდურ ბუტიკში ვიდულობს.



პაპა შიქვლაძე

ერთი მოთხრობა სემსზე



ზინც არ უნდა იყო შენ, შენ არ იყავი, რომ მიჩნეოდასასვენებლად წადი, გადადილილი ჩანხარ, მოკეთიდი, მოსულიერდიო. ასე იყო თუ ისე, ათას ცხრას სამოცდა... წელს რუმინეთი რომ შეიღმა მილიონმა ტურისტმა მოინახულა (თუ არ გჯერა, ენციკლოპედიაში ნახე), მეგობდემილიონე რომ მე ვიყავი, ამაში შენი წვლილიცაა, ვინც არ უნდა იყო შენ.

ვინც არ უნდა იყო შენ, შენ არ იყავი, რომ ცხვირს იზუბებდი, - რუმინეთი ყველაზე მოსანყენი ქვეყანაა მთელ ევროპაში, ამ ლეთისგან დავიწყებულ კუთხეში რომ არ გადაიდოღეს ტურმარშრუტი, უფრო შინაარსიანად დასვენებდიო.

მარშრუტმა გაიარა კი არა, სუთი დღე საცვებით დაუმასხურებლად აუგადა მოხსენიებულ მხარეში ჩავრჩით. გიდი გვყავდა სამშობლოს მოყვარული და გამამდებდა ხალისიანი ირინა. ჰოდა, ერთ-ორ დღეში ჯგუფის წევრები ამგვარად ვურთიერთობდით.

- ბაია-მარე, კოფეა-მივე? (ჩემო კარგო, ყავა გინდა?)
- არადი (ნუ შენუხდები).
- გეორგიე-გეორგიუ-დევი (ჩვენები სად არიან?)
- ტირგუ ჟიუ? (რას გაიგებ)
- კელრაში დრაგალინა თასი ჩერნა ბაბადაგი? (ძვირად ფასობს აქეთ ჩვენი შავი ლენიოები?)
- ფეტეშტიმ! (რა საკითხავია!)
- ორადია მოგოშოაია მანგალია რიმნიკუ-ვილჩუ ტურნე მეგურელე? (რავა არ ეცოდინებათ მეგრული რუმინეთში მაგალითად?)

ვინც არ უნდა იყო შენ, მკითხავ, კი მაგრამ, ეს ხომ რუმინეთის ქალაქების სახელწოდებებია, ირინა გაცივიარო. მართლაც ასეა, უნდა ვალიარო, მაგრამ ვინას გადამკიდეს მტრი არაფერი გვემოდა ოცდაოთხი საათი და ავითვისეთ. ნიჭიერები ვართ, ბატონო, ქართველები. მოგიწევს ამის აღიარება, ვინც არ უნდა იყო შენ.

მარტო ვმოგზაურობდი ცხოვრებში პირველად! თავი პირველადმოჩენი მეგონა, ბოშა, თავისუფალი მოხეტიალე, დაკ-დაკ-დაკ მღეროდნენ ავტობუსის ბორბლები. ბესარბია-ტრანსილვანია - მღეროდა ირინა. დაკ-დაკ-დაკ ავრტობლებდნენ ავტობუსის ბორბლები. სკუ-სკუ-სკუ ხმას აძლევდა ირინა. მარტო ვმოგზაურობდი ამ თუმა სიზინდი, ხორბალი, ჭვავი, მზესუმზირა, რა თქმა უნდა, ყურძენი, კარაბტებზე ცხვარი, დუნიამი თევზი და ცქვესიები ყოვლად უშეღავათოდ მაგონდნენ სამშობლოს, დატბორილი ფავებისა და გულზე დაკიდებული ერთი მუჭა მინის გამოღმე (ნუ, რა მოგიფიქრა, ვინც არ უნდა იყო შენ! ნუ, რა მოხდა, ნუ, ცოტა ხნით მაინც). მშვენიერად ვგრძნობდი თავს. გა-და-სა-რევედაც კი.

გადავირეოდი, აბა რა მომივიდოდა ბოლო დღის, ბოლო რესტორნის ბოლო სიურპრიზად რუმინელ ბოშათა ბანაკი დაგვეცა თავს. ვაგისარია მოვილხინდი. ცალკე მევიოლინემ ამოვიგო ბექი, ცალკე ჩვენ მხრედი. სულ "ჩაველა", "ჩაველას" ნივთი-კვილით ვერ ქუსლებით ჩავამტვრით და მერე ზურგებით მოვაპრიადეთ რესტორნის უწყვერდაც ალკოკილი იატაკი. დიადი ქართულ-რუმინული ცნვანადია ერთობლივი ფერხულით დავასრულეთ და ზეანწული გუნება-განწყობით ავლავადით ავტობუსში, რომელმაც ბოლო რუმინული სასტუმროსაკენ აიღო გზი.

აი, აქ დაინყო და დასრულდა ის, რაზეც, ვინც არ უნდა იყო შენ, მეტყვი, "წარმოუდგენელია, ასეთი რამ ბუნებაში არ ჩებობა" და დაგეთანხმებოდი კიდევ, თავად რომ არ ჩამედინა ეს "რამ".

ჯერ გული გამიჩერდა, მერე შემეხტა, მერეღა გავი-

ხედე იქით, საიდანაც ვილაც მიყურებდა, მერე გამაფრიდა, მერე სუნთქვა შეშეკრა და მერე ძლივს მოვარდე თვალი ჩემ დღეში მყოფ ადგილზე გაქვავებულ, პირდაღებულ, ფერგამკრთალ და თვალბადქცულ რუმინელს, სასტუმროს მომსახურე პერსონალის ფორმა რომ ამშვენიებდა.

საშველის მოსაძებნად მიმოვიხედე. უბრალო, მყუდრო "ნავსაუდელი" ბეგრბილსაფარძლიანი პოლიტი. ერთერთში ჩავიმაღე სულის მოსაბრუნებლად. ისედაც რიტი მჭონდა დასხმული და ვინც არ უნდა იყო შენ, ნუ მისაყვედურებ, თუ კარს მომდგარ ბედნიერებას თავი ავარიდე. აზრების მოკრეფა ვცადე, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ჯგუფის ხელმძღვანელმა მიხმო.

- მარტო იქნები ნიშერში!
- მე, რატომ? - შემეშინდა ამ აშკარა ზეციური ნიშნის.

- მარტოცა შენ ხარ ნამოსული და იმიტომ, - მომიჭრეს სიტყვა.
- აქამდე მახლდა ვინმე, თუ რაშია საქმე! - ვცადე თავის დაცვა.
- ცუდი სიმთვრალე გცოდნია, - დამიყვავა ჯგუფის ხელმძღვანელმა.

აქ მარტო ორ და ერთკაციანი ნიშრებია. სხვაგან ორ და სამკაციანი იყო. აქამდე იყოფოდა, ახლა ღარი იყოფა, გაიგე ადამიანო, ვერადი, ვერადი, - სკორის დატბორილი მონაფესავით მიხსინდა.

რუმინელი ვერ შორიდან გავითვალთვალებდა, მერე საქმიანად მოგვიახლოვდა - რამე პრობლემა ხომ არ შეგექმნათ, - მოგვიგნისლურა, - ეს ელუტი პერსონა ერთკაციანში მოათავსეთ, - ამათივით გადაამბარა ჯგუფის ხელმძღვანელმა და გაუჩინარდა.

გინდა ეს ვთქვათ რუმინელისათვის და გინდა სიტყვა დაიცამელსა, ან ვთქვათ, ვთქვათ წინადადება "და ცამ მელუნა"...

- მარტო?! - თქვა თუ ამოთქვა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ისე თქვა, რომ პარემუსის ჭიანჭველებმა იხუჯვრეს, თმის ძირებთან ფეხის თითებამდე ჩამოსიერნეს, ფეხის თითებიდან თმის ძირებამდე ასიერნეს და სანამ

წმირამდე მიმაცილებდა, არ მომშორებინა, დაფუთფუთებდნენ და დაფუთფუთებდნენ. ვინც არ უნდა იყო შენ, ნუ მკითხავ, საიდან იციო, რა უნა და ვიცე, ისიც რომ იმავს გრწმობდა. მუნჯად მივედით დანიშნულების ადგილამდე. კარი გამოიღო და წავიდა. იორად გავიხილეთ, მეცონა, ისევ ტაბო დაგრჩა.

ღვინისფერ ერთკაციაში რძისფერი, ბევრბალიშშუთაქადაბრტყლი და მკაფიოდ დოკაციანი სანალი იდგა. ფარმბალი ბარგთან ერთად ადვირზე, აივანზე გავედით, შემოდგომისკენ წასული ზაფხულის სურნელი ღრმად შევიწოთქე და ცას ავხედდი, რათა კარგად ნამეჭიისა სცენარის ისედაც გაგამჭვირავდებოდა მოსალადნელი განვითარება. რძისფერი სასვე მივარე ღვინისფერ ღამეში იმდენად უსილად ეკიდა, რომ მის გვერდით მეორე ეული მთვარე იღამდებოდა ჩემს გაბუნდოვანებულ ფოკუსში. ერთი მთვარე ობობასავით დაეშვა, სვედის საამოდ მტანჯვლად უნაზეს აბლაბუდაში გამხლართა. მეორე, დაძინების არდამშვედელი და დაფუშებლის დამშვედელი მთვარე-ობობა ძირს არ დაშვებულა, ცაზევე ქანაობდა. შემობრუნდი, სანალიც კიდეზე ჩამოვყექე და უკეთესი რომ ვერადვირი მოვიგონე, სიგარეტის კვალი დავუბრუნე შეყვარებულ მთვარეებს სინაზისა და სვედის აბორიალებულ ნისლად. რუმინელე აღარ ვფიქრობდი იმიტომ, რომ ეს შიშველ ელექტროჩამბრეულში უსეთითამანი თითების შეყოფის ტოლფასი იყო.

არ გვინდა ახლა დიდატყუარი მოტივები სხვათა და სხვათა შემოქმედებაში. არ გაბედო და არ მისაცყედდური, ვინც არ უნდა იყო შენ, მე ხომ პატიოსნად გავაჭეი თოხის ნახევრამდე (ღამის, რა თქმა უნდა) და როცა ლურჯად ჩაბნელებულ (თუ პესიმისტი ხარ) და ცისფრად განათებულ (თუ ოპტიმისტი ხარ) კორიდორში გავედით, სწორედ იმ საცარქელზე იდგა, მე რომ ვემალებოდი.

შემთხვევით.
ჰო, შემთხვევით. შემთხვევითივე ცდილობდა ტოტების სინაზის და სვედის ქსელდან მთვარის გამობლართვას არამაქვეყნიური მზერით. და შემთხვევით ეჭირა ხელში ჩემი ნომრის გასაღები.

ერთმანეთის დანახვა არც გაგვეჭირვებია, არც გაგვახარებია. ეს ასე უნდა მომხდარიყო.

- რად გინდა? - გასაღებზე ვანიშნე.
მზრები აიჩქრა.
- ღიაა კარი...

უნდაური რეაქცია ჰქონდა. ერთი წამით თვალზე ცრემლი მოადგა და თავი დაიხიწია, ან რა უნდა ექნა, რომ ასე მომწურვებდა გული ახლობლობის განცდით და სახალკოვის სურვილით.

სადაღე მინახავს, სადაღე მინახავს - ვითვლიდი საფეხურებს.

კარი მან კი არა, ყურმენდაზღინულანგრიანმა ბედნიერებამ შემოიღო. გაკრიკლებული მარცვლებიდან თვალს მიკრავდნენ მოხიბობილი, სახეზე მთვარეები და დიდი სისულელე გავაკეთე, რომ ქართულად არ შევეგებე...

ვერ გავებდე. ვერც "შემოდგი ფეხი, გხარობდეს ღმერთი" ვუთხარი, არც "შენ წინა და მზე გართა" მივუღიქე... მხოლოდ ჩავისუფლეთ და ასე დავერჩი.

გაუცხოება დაგვეწყო.
ჯერ ენაზე ვერ შევთანხმდი. რუსულად ნუ ვილაპარაკებდი, მოხერვა. ა-პა-პა-პა, ვინც არ უნდა იყო შენ, პოლიტიკაზე პოლემიკაში რომ ჩამითრიო, მერე საქმე ვინდა ვაკეთო?

ვერცერთი ფლობელ ენა-ლიალექტზე (არ იცოდა მეგრული რიგიანად) ერთმანეთს ვერაფერი შევასმინეთ.
დაღმელი უცხო ენებით მხოლოდ ის გავარკვიეთ, ვინ რომელი უნივერსიტეტში სწავლობდა თუ ასწავლიდა, ვინ რითი იჩრქნდა თავს და ვის შშობლები კვებავდნენ. სხეულის ენის ესპერანტოზე გადასვლა მოგვიხდა და არაფერიც არ გამოვიდა. რაღაც მორიდებულ-დაბნეულად ვაკოცეთ ერთმანეთს და შემცდარ-შეცუფნებული ჩაიანერდით ჩვენს შორის საზღვრის ნეიტრალური ზოლივით ჩამავებულ-ჩამოუქებულ დაბალ მაგიდას. ჰაერმა დაჭიმულობისაგან ბზული ატყვა.

- დასანანი, - გავივლე გულში, - ასეთი პაუზა კარგა არაფერს გვიცაქნის.

ტელეფონმა გვისხსნა.

- უკაცრავად, მარტოსულ მოჩვენებას სთხოვეთ ძილის სამყაროდან! - ჩამეკირეს ქართულად ყურში - გასულა?! გადავიციო სასწრაოდ გამოვიდეთ მე-17-ში. გენიალურ გუგუს მონსყდება ნინაღმდეგ შემოსევვაში.

- ლოთებო! - რა შეიძლება ნამძინარევი ხმით ჩავძახე ყურმობს, - არ უნდა მომსავეწოთ?! - ყურმილი დავკვიდე.

- ლამაზი ენა გაქვთ! - თავისთვის მოინიშნა რუმინელმა. გავისუსე. ისევ ვიგრძენი მთვარის ობობის საცეცი გულთა. ავიკლებული ტელეფონი გამოვირთე. ფრთხილად გამოვივიე მაცევირიდან წინდახედულთაგენახსულად გადამაღული ბოთლი.

- ოდესღაც ეს ღვინო დამიღვია, - თავისთვის აღმოაჩინა სტუმარმა.

- მეც, - დავაბრძევე სისულელე, რომელმაც რატომღაც ზეცი თ ნაკარნავეი სიბრწინისდრად გაიჭურა.


სიშვიდემ დაიხადგურა. ვაკოცე. ყურმის მარცვალს ვერ დავაჭერე ბოლს, მერე ჩავაჭერ, ტკაცე, ვერცვება პირში თიბებთ და ტუქმებით გამობათი ტკბილი სითხე. მთვარეები ხიბითებენ და ენაზე მადნებია. კიდევ, კიდევ, ღვინოსაც ვწოპავ. ჩუმად ვართ, ერთად ერთად, კარგად ვართ და ამ დროს კარებზე


- ბა-ბა-ბა-ბა! აღსდექ კრულვითა დაღდასმულო, ქვეყანავ მწყურვთა მონების! - ნახევარი ჯგუფი მოანყდა, თავი რომ არ სტკივა, იმ სიფრთხილით გადარაზულ კარებს

- ოკუპაცია, - შეწყვირა მან.
- ოკუპანტებო! - თანადროულად აღვშვითიდი მე. აიბო რა დროს ისტორიული ექსკურსია, ვინც არ უნდა იყო შენ?!

მანიშნა, "არ გაულო", ვანიშნე, "ახლავე გავაბრუნებ". თავზე პირსახოცი მოვიხივე, ხალათი მოვისხი. ნახევრად გამოლებული კარიდან ნახევრად გაყავი ტანი, რაც "ნაბანავეები ვარ, შემეშვით"-ს ნიშნავდა. ცოტა კარს ეჭვი დავუნენ, ცოტა მეგნამწარნენ. სურათი გადამიღეს, "გვეც შენ, მოღალატეო!" იმედი დაიტოვის, რომ აუცილებლად გავიზიარებდი მათ მზიარულებას და დერეფანში ჩაიკარგნენ.

ვინც არ უნდა იყო შენ, თუ მთლად ღვთის პირიდან გადავარდნილი არა ხარ, გავგონილი მანც გექნება დაძაბულობა, როგორც შევლის სასიყვარუ-





ლო ორომტრიალს. გასაღების გადატრიალების დროში ავივსე ისეთი ნდომით, რომ ნეკნებით და მალეებით ვიგრძენი, ალისფერი ტურქები სველი რომ დამოხრებოდა, წაბლისფერი თვალები კი აპრიალეული. პირი გამიშრა. სუნთქვა გამისშორდა, გულმა პრაგაპ-პრუგი ატყვა, ის, ის იყო... ის, ის იყო... სადაცაა, გზარამ ხელი სივარტისკენ წაიღო.

სხვა რა გზა მქონდა. აბაზანისკენ გადაფუხვიე. წყალს მიგანდნ აზურბეილი სხეული და გადასურბული თავი.

- ბრივლა, ბლაგი, დევა, ტეკურე, ბივანი, ზალეუ, შუნედოარა, სირეტი, ბისტრია, რუდენიცი, ბროდინა - მიოფერა ნაგელი და ვინც არ უნდა იყო შენ, მოგინეცს აღიარო, რომ ევოგრაზია ვიცო და განსაკუთრებით, რუ-მინეთის მდინარეები ამითვისებია რიგინადა. ჩვენში დარჩეს, შენც არა გიმაყს, ვერაფერს გამოგაპარებს ადამიანი.

ჯერ ერთი თბილი ნვეთი დამეცა მკერდზე, მეორე კისრიდან ხერხემლის გასწვრივ ჩამოსროლდა და ორ ბოროცს შორის ჩაიკარა. წყალი ეკრისსფერ კულულებს გამოჰყვა, ლიკლიკით ჩამომბანა ტანი და კი არ მოადუნა, უცდქ შეიკუმშა, ისედაც მოლოდინად დაჭიმული ნერვ-კუნთოვანი ქსოვილი. გავინაბე, ავკრუტუნ-ავკრუსუნ-დი და ჭაჭალს მიგნებდი.

კარი შემომიღეს. შევკრთი, ზურგი ვაქციე. არ მიყვარს, ნინხედში რომ მხედავენ შიშვებს. გვიან გამახსენდა, რომ არც ის მომწონს, ზურგიდან რომ მათვალერებენ, ისიც სინათლეში. გავბრდი გრილი წყლის ჭავლი მივუშვირე ვალ-მკერდზე. ხანძარი ვერ ჩავექტე, მხოლოდ თავიდან ფეხებამდე გავწუნე. გაიცინა და კარი მიხურა. ქსაცსავე, გადავავტე ონკანი - ახლა მიინც ხომ გაიხიდა.

ქლა კი ოოო! ვინც არ უნდა იყო შენ, შენი ხმა არ მაგივო.

რძისფერ სანოლზე თანაბრად მზენაკრული სხეული მელოდა. რძისფერი ზუნარი სანოლიდან იატაკზე ჩამოვრლიყო და ეს იყო ჩემი რძისფერი გზა, ხორცისფერ-ღვინისფერი ნეტარებისავე.

ლოდინი როგორ ადევდებს ნდომას, ხელშესახებს ხის... ახლა სწორედ პირველი შეხება მთავარი... ხალათიც ჩასართალდა... ზუნარიც... ფეხებიც ავიკეცე ლოკინებზე... ისიც გაიხშორა... ქლა... როგორი კანი აქვს ნეტავ... სანამ ერთმანეთს სიმშვილთ ვტკბებოდით, მთვარემ მოიხსარა (ზოგიერთებისგან განსხვავებით) და ღრუბელს მიუეფარა. როგორც იქნა, მარტკ დავერჩით... (ზოგიერთებს თუ არ ჩავთვობ).

ერთ-ერთმა მეორეს ყურის ძირებიდან ორივე ხელის შუა თითებამდე, თითქმის არ მიკარებულ მსურველ ხელსაგულებში ჩამოაყოლა. მეორემ, პირდაპირ ლავინებს შორის ჩაღრმავებამ ჩაძირა აგუზგუზებულ ტურქები. ეს იყო ზუსტად, რაც უნდა გვექნა... სადაღაც რაღაცამ გაიწკაუნა, ყველაფერი განათდა, ჩაბნედა, გაერთიანდა,

დატკლევდა, დანანილავდა და რძისფერ-ღვინისფერად აიმღვრა.

დაიწყო.
არა, ეს არ იყო ბობოქარი ექსეი. ჯერ. ეს იყო ფრთხილი და მსურველ გაცნობა.

ააი, აიიი აი ტურქი. აიიი ააი ყურის ბობილო, აი მხარი, აი ყელი. აი ხერხემლის პირველი მილი, აი მეორე, მეშვიდე, მეთერთმეტე, ოცდამეოთხე, აი, აი კუდასუნიც, ბრთრ. თბილა, თბილა, ტკბილად მტკივა, შო და ისევ. აი თვალები, აი, საფეიქლები, ააუ ენა... მთავარი შეღწევაც ჩანვდომას უფრო ჭკავდა, შეცნობას. ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად... ვაითუ. ცოტაც, ცოტაც, ცოტაც, თურმე აი, აი ისიც... იქნებ... იქნებ თუ არა, თითქმის, თითქმის, თითქმის... ფრთხილად! და კიდევ, კიდევ, შო, შო, თანდათან, თანდათან და ისევ. მგონი-მგონი, მივცდი-მივცდი და აი, აი აა... ი. უჰ!

სიციხანი, ბრმა და ყრუ-მუნჯი თინეიჯერების ორმხრივ პირველი ღამე. სამოთხიდან ახლად გამოყრილი ადამ და ევას ურთიერთსწავლი. ვნების "აი ია" რომ ჩავათავეთ, შვებიანი ამოვისუნთქე. არაფერი შეგვშლია.

თვალები ფრთხილად გაახსილ. ღვინისფერ კედელზე დუმდნ ხის ტოტების ჩრდილო ნახლების სამკუთხა სახურავები და ნეტანი გუმბათი ჩამუქებულიყო. ლოგინი ნათელში ტურავდა. უსინდისო მთვარეები, არა, ერთი მთვარე, ცალი თვალი ვაიჭყობინებდა და ჩინე შერწყმა სიფრთხიან სისხარულით უხაროდა. ჯერ კიდევ ერთსობ სხეულთან გაშორება გაჭირდა. ცოტა ხანი კიდევ გრძელდებოდა გამოყოფილი აი, აი, აი ლიყა, აი შუბლი, აი ცხვირის ნეკტი. ერთად გაგვეცინა. და იყო სინათლე და სითბო ორივეს თვალში.

დედა, რა ხანია არც გამხსენებიახ, ვინც არ უნდა იყო შენ. არ გენყნობს, რა! იცი, რა კარგად ვიყავი. ეჰ! ეხ რომ იცოდნე, ეხ რომ იცოდნე... ამ სისუღლის კითხვაზე მოცდებოდი.

ზღენიერებისგან ჩამეძინა. ათას ცხრაას სამოცდა ბოლო ნღვისთვის დაუშვებელი სიზმარი ვიხილე. შინ დაბარუნებისას ზემდემ ორგანოებში დაბამბარებენ, თუ ვგუფის ხელმძღვანელმა ჩემი ზნანების ჩანიშნა მოასწრო და თუ ეს ხილვა წყალს არ გავატანე - შევშინდი ძილშივე.

თითქოს თბილისის ქუჩები რემბოინი, ნიკიტინი და კუ ნინებთი იყო სასვე. შევკრულ მუშტებს იქნედვდნ მრისხანე სახეებით. გაუტებარ დროშებს აფრიალებდნ და რაღაცას გაჰკიოდნე გაუგებარი სიმამართით.

თვალები გავადე თუ არა, რუმინელის ჩურჩული ჩამესმა. დამესიზმრა, პარლამენტის შერისის წინ ხალხი მარგორიული მუშტების ქნეეთი და მრისხანე სახეებით "ჩაუშესკუ! - ჩაუშესკუს!" გაიძახოდნენი.

- მეც იგივე დამესიზმრა! - ავლადე უნებურად.
- "შეშესკუ!" რალა უნდელათ, რაა გაჰყვიროდნენო, - დაინტერესდა.

ჩემი დაბნეული სახე უნდა განახა, ვინც არ უნდა იყო შენ, როცა დაბნასუნდა, რომ "ჩემიციც!" "ჩაუშესკუს-ჩაუშესკუს!" ბლაოდნენ. და ისე ყველაფერი კარგი აგისრულდა, როგორც ეს სიზმრები აგვისბა, მაკარამ ჩვენ ხომ შევთანხმდით - პოლიტიკაზე არ ვსაუბრობთ! ტყუელად რომ არ დავიხარჯოთ, მოდი ისევ ლოგინს დავგუბრუნდეთ.

ამდენი ბალიში ტყუილად ცდება - გადაწყვიტე გულში და ერთ-ერთი ადურსიანად ჩავადარე ჩალისფრად გაბუბულ თავს. ვალში არ დამარჩენია. ატყვა ერთი თაქა-თუქი და ნიკო.

- დიწუ, დიწაწუ, დინი, ადამაკე, ტატარუ - ოთახის ოთხივე კუთხიდან მოფრინავდა რძისფერი თავსასთუმა-ლო.



ვინც არ უნდა იყო შენ, უკვე მიხვდებოდი, რით დამ-
თავრდებოდა ალტყინებული ორთაბრძოლა და სულმო-
უტყმელი ხარხარი. მაგრამ ერთხელ მიხვედრილს,
ერთხელ თვითმხილველის აღწერილი სჯობია.

- მოკაპუ რედუკანუ ლუქსკუ ლუქსკუ დემიტრუ -
საბრძოლო ყოყინით დამაცხრა ტუქებზე გაალმასებული
პარტნიორი.

ეჰ! კარგი რა, შე, ყოვლადსაბრდებულო. მერე რა,
თუ რუმინელი დებსურთელვის გვაჯობს ვასახლებს. შე-
ნი შიშით ტყუილი ველარ უტყვამს ადამიანს. ვინმე გა-
მორჩა? ნუ დემიტრავკე.

მოკლედ, დიდი გნისი შეიქნა.

ვიცინოდით, ვლახუტობდით, ვჭიდაობდით. ვის ვინ
ქართულით მოჰქონდა და ვის ვინ მოგვერდით. თავიდან
თუ ათამაშებული ლეკვებით ვიკბინი-ვიკანრებოდით,
თანდათან გაგასტკივდით, გაგზელდით. ავნი და შეუბრა-
ლებლნი გაგზედით. ხვევნა დახრჩობას დამეგვანა, ფერება
ხორცის გლეჯვას. მთავარი შეღწევა კი - ჩაღწევას, ჩაწ-
ველობას, ჩანგრევას, შენგრევას, მოსპობას, განადგურებას.
ძველების და კბილების ღრჭიალი მესმოდა, იარაღის ლა-
ნალუნის ხმა. ხან "ოსალები!" ძაბილი მინდოდა, ხან
"ბარბაროსების!" მაგრამ მომხდურის ცხელი შხთები მაგ-
ლეჯდა ყველში მონოლოლ არაადამიანურ გმინვას ენასთან
ერთად. დაკ-დაკ-დაკ-დაკ ხან რომელი ვაბათქუნდით და
ხან რას საწოლის ზურგს. დაკ-დაკ-დაკ-დაკ წყდებოდა
საწოლის თავი კედელს. პირში ფოლადის, თადლის, ლუ-
ლის და სისხლის გემო გამიჩნდა. გათავისუფლება მინდო-
და და ვიბრძოდი, გათავისუფლება უნდოდა და იბრძო-
და. ისევე ომი ისევე წაგება, ხანმოკლე გამარჯვება. შე-
მოქმედილ მკლავებს ბორკილოვით ვგლეჯდით. ვნად-
გურდებოდი, ნადგურდებოდა. თრავ-თრავ-თრავ-თრავა...
ან ან ახორკავ... ალყა... წყურვილი... ქარბუქი... გუთო-
ბი, გუნაინდები, ჰუნები, ავარიები... ისევ წაგება, ისევ მო-
გება... ისევ ომი... ისევ?! აღარ გვიჩნდოდა, დავიღალეთ. ავ-
ირიეთ, ავიშლეთ, დავნანჯვრდით, გავერიიანდით, აგვა-
იხრეს... და როცა ამ ქაოსურ წვევარაშში, როგორც იქნა,

სინათლე ჩამოინთხა "წივი..." თვალი კვლავ კედლისკენ გა-
მეცდა. ქანცაცალილ სხეულთა ჩრდილები ერთმანეთზე დაკ-
ლულ ლამებს მოჰგავდა. ერთდროულად გადაგვქანდით
გულალმა და მოგვეკვით.

როგორც კი ძაღვით მოვიცი, ღვინოს გადავწვიდი.
ქარიველი ვარ! - გამოგვყავი. რუმინელი თვალდახუჭუ-
ლი ეგდო და იღიმებოდა. დავკა - გადავნიობიერე და უს-
ასროლოდამი გავკატყვრდი.

არა, ასეთი სიკვდილისთვის ცხოვრება ღირდა, თუ
იარაღით ხელში არა, ბრძოლის ველზე ხომ დავიხოცევი,
თან ვიქორწინე. წარმოვიდგენია, ვინც არ უნდა იყო
შენ, სკოლის მასწავლებლებისთვის რომ დამეყვებინა,
ისტორია, გეოგრაფია, მუსიკა და სოლფეჯიო ავითვისე-
ბინა. ირინასთვის მაინც მომესმინა ხეირიანად, რა მოწუ-
მენტური ხილვები შექმნიდა გაგანა ალერსში.

რა არ არის ინტელექტის ფუნქცია?! ოლოლო, ვინც
არ უნდა იყო შენ და ვერ გამოიცან, თუ გგონია, რომ
ეს მოთხრობა გვამების ხასუნზეა და არა სექსუა. სადა-
ვო საკითხია?! ოლონდ ნუ ვიდავებთ და ყველაფერს მო-
გივევით.

ძალიან შემეცვიდა. საბანშიც გავეხვიე და საკუთარ
თავშიც.

შეოთიან ღამეში სიღრმეებიდან დაბრუნება მისტიკუ-
ად შეედა - თვალდახუჭული რუმინელი ამღერდა. და
აკენსდა მის ხმაში ნაი და ფლურერი. ჩიმიში და ბეჭუმი
აგუჯუნდა. სიბოძოდ ჩამეღვრა გულში ან ბალადა ან
მწყემსური, ან გვაგლის და ანდა წვიმის სიმღერის ლუ-
ლუნა ჰანგი - მინის სუნთქვა. კობაში, ციმაბალმა და ციტ-
რამ ააბმინანს სიმები და როცა ვიოლინომაც აიწყვიტა...
კედელზე ხეთა ჩრდილებმა ფერხული გაჩაჩღეს, რუმინელ
მეგნამებებდ იქნენ და ტოტებივით დაკოორცილი ხელე-
ბი გადახვიეს ერთმანეთს. ფესკეპივით დაკოორცილი ფესე-
ბით ჩაწურეს ყურძენი წრიულ სახანახელო ყაყანითა და
ცნვეტ-ცნვეტო. შორის სირბა ცვლანდა. ბროსი ინვესტო-
და. ყველაფერი აჟრიამულდა. ატორგმანდა ჩრდილები,
ლანდები, ფიქრი, სუნთქვა. დამაჭრდა სისხლი, უცხო
რიტმში აჩუხუნდა და უცხო ღვინოდ დაღვინდა. მაღელ
უცხოდ შინაურმა მზემაც პირველი ნიშანი მოგვცა ამოვ-
დივარო. მთვარისფერ ცაზე მთავრე გაბაჯდა.

- "შენ და მე და შენ და მე და შენ და მე და შენ და მე და ბო-
განო მთვარე!" - თითქოს ლექსად მომიმღერა რუმინელ-
მა, როცა შენიშნა, რომ ღამეულ მონმეს ვემშვიდობებო-
დი.

სადაც სამართალი იყო, მეც უნდა მემღერა "შენც
კარგი, მეც კარგი, მთვარეც კარგი", მაგრამ დროზე მო-
ვეყე გონს. ხელისგული ხელისგულზე მივადე და გავიჭ-
ვინიე.

- ახლა შენ იმღერე - გამოიღმა.

ვაი, სირცხვილო! როგორი სათქმელი იყო, რომ მე,
კავკასიის მთების შვილი, პატარა ქართველი "ჭრელი პე-
პელას" "ფუფუნა წვიმისაგან" ვერ ვარჩევ. როგორ არის?!
"წურც გაფრინდები"... "წურც მოფრინდები"...

ადგილზე დავჩრჩი. სამშობლოსთვის თავს ლაღის დას-
ხმას, ისევ "არ ვიცი" ვარჩიე. "შერე ვიმღერებ"-ს სათქმე-
ლად დავაღე პირი და...

...ყურებს არ ვუფერებდი. "აშო ჩელას" ვლიღინებდი.
მოულოდნელობისაგან წამოვფეკეი და ხმას მოვუშატე... ყე-
ლდიან წკაობის ნესტი და ველური თაფლი გადმომშიდა
და ღვარად. ვხედავდი, როგორ მიათრევდა ორი ლურჯა
კამეჩი კუნაბუტი ღამით დატვირთულ ურემს თუთარჩე-
ლაზე ამოზრდილი ისლამის სახლისაკენ, სამი თავმჩიყო-
ბილი და ხმანაყობილი ცირა, როგორც ჩვილს, ისე
დაგურგურებდა ერთ ჩონგურს. ნა-ნა-ნა-ნა... თევზის
და სვედის სუნე მოჰქონდა ქარს და ოუ, ნანა... ბზა...



ყვარდა და ვაი, სვანი ცოდეა, თუ არ გჯერა, რომ ბუ-
ბულითი ხმატვილიად ვგალობდი, მავშალისასავით თუ-
ლებმლულული და როგორ მინდოდა (აი, ნდომაც იმას
ქრქა), როგორ მინდოდა, ამ განცხრომას ბოლო არ ჰქო-
ნოდა... უღებ ჩემთვის უცნობ სიტყვებზე და მელიონზე
გადავდი. "შენი ველსია ხისა, ჩემი კიდევ ქეთიორისა"
ვმღეროდა, "აჯლოდა და სისვი ცხენი" ვმღეროდი. "ორ-
ივნი ოქრის ღვიშის" ვმღეროდი "სად არავინ არ ჭა-
ჭანებს" ვმღეროდი. "შილილინებს გოგო-ბიჭი"... ცრემლე-
ბი ლაბა-ლუბით მივოდა. ვტიროდი?

სიძღერა როგორც განძა, ისევე გაქარა.
სწორედ ამაზე გუებუნებოდი, ვინც არ უნდა იყო შენ.
ასეთი "რამ" ბუნებაში, მართლად ვერ ვიფიქრებდი, თუ
ხდებოდა. მოიცა, აბა შენ რა გეგონა, რას გველისხმობ-
დი?

გულდაწყვეტილმა გავასიე თვალები და რუმინელი
ოთახი აღარ დამხვდა. გამიკვირდა, რომ ვერ გავიგე მი-
სი ნასვლა. ალბათ ვგრძნობდი, კვლავ ერთ ქაელში რომ
ვიყავი გასლართული დიდხანს ვუყურებდი, როგორ გა-
ვარდინდა კაბადონი, როგორ ივრეს კრამიტის ზეგრი
სახურავებში, ოქრისფრად აელვანდნენ გუმბათები. მაქ-
მან-რუქურთმითვანი ღრუბლებიდან როგორ ამოიზარდა
მაქმანრუქურთმითვანი ფიფქურის ქალაქი ფანჯრებში. ფა-
იფქურისვე სამრეკლოებში "პორცელანის" ზარები რეკდ-
ნენ. მართლაც გადახსნილ ალისფერ სხივებში ფლუგე-
რი დატრიალდა...

აივანზე დედიშობილა გავედი. უწვიმია. სველი ქვაფე-
ნილი წითლად დაფერულიყო. სასტუმროს წინ წითელი
შადრეკანი ცუკავდა და წითელი ვარდები ლუოდნენ. რუ-
მინელი... ლმერთო, ძლიერთა... დედიშობილადაც იცა შად-
რეკის ბაბში, თავზე წითელი ვარდების გვირგვინით და
ჩემთვის ასეთივე გვირგვინს კრავდა.

ჩიტების და ზარების წვრილი ცას შესაკვდა.
მე, ჩემი აივანზე შიშვლად გავარდა მეგონა გვირო-
ბა, მაგრამ რასაც ჩემი რუმინელი ბუდავდა, რომელი ქან-
თარისას დროშის ფრიალი და თუნდაც მთელი "ანტიჰიტ-
ლერული პატიროტული ფრონტის" შემართება... ფოლად
დადაღლებდა ჩემი სასტუმროს ადმინისტრატორის გამ-
ჭლოი მზერა, მაგრამ ერთი პირი წყალსაც რომ სძინავს,
იმან გადაგვარჩინა ალბათ.

გულშინათელწამდგარი ვადევნებდი თვალს ვარდების
როცელს და ზეცის კარიც შევადე, როცა ამომხერდა. თუ
ისეთი თხრობას ვისწავლი, რომ ის თვალები აღვწერა, მე-
ორედ დავიბადები, ვიცო.

წითელი ვარდების გვირგვინი ჩემ თავზე დაეშვა. წი-
თელმა შადრეკანმა "სულ მალა, მალა და ზემოთ" აგ-
ვიტანა. როცა ყველაფერი ამოვარდნილ ლავასავით მზურ-
ვალე გახდა, ბაგეები გაგომრეულდა და სხეულში ცვი-
ლად იქცა. შეერთდნენ ერთის ძუძუ და მეორის მკერდი,
ერთის ტუჩი და მეორის კბილი, ერთის თვალი და მეო-
რის ნაწნაში, ერთის გული და მეორის ყური - ჩემი მზე-
რა, ჩემი გრძნობა, ჩემი ფიქრი - ამეტყველდა თითოეუ-
ლი ამბორი და აღარსად აღარ იყო საზღვარი. გაქრა.
ყველა ამოსუნქვა გალობად იქცა, ყველა ჩასუნქვა -
ზიარებად. როცა ქართული და რუმინული ხატების
ლურჯ-მწვანედ დაიფერა ჰორიზონტ... თეთრებში მოსი-
ლი თეთრვერა ნათელი გამომეტყვება, საცველის სურნე-
ლი მომაკვძია და ოდნავ რუმინული აქენტით მომიქარ-
თულა "შემიყვანა მან ღვინის სახლში და აღმართა ჩემ-
ზე სიყვარულად თავის ალამი". ანთიმოზ ივერიელი! -
უზომოდ გავიხარე. "შეც მოკვდავი კაცე ვარ, ყველას
მსგავსი, პირველნასახი მონიერის შთამომავალი და ხორ-
ცი, დევის მუცელში გამოქრნილი". თითი დამიქნია. გა-
მილიბა და გაქრა.

მობრუნებისას მთავარი შეღწევა თავის დაღწევას

შტავდა. დამშვიდობებას იქნებ კიდევ... არა მეგონა...
როცის... სულ შენთან მინდა... იქნებ რა იცო... თუშქა, რო-
გორ?... საიდან, რატომ?... აღარ დამთავრებს... მარად მიყ-
ვარხარ, მიყვარხარ მარად. აჰ-ალარასოდეს.

შენ მეც თქვი, კიდევ კარგი, რუსთან ან ვადუნდი,
თორემ ზიარ მელადებს, პოეტ მეუბნეს და მევე პოეტებს
რა გამოვლევდა.

ნასვლის დრო დადგა.
ჩუმად ჩავიცვით, ჩუმად ჩავბარდით, ჩუმად ჩამოვს-
ხედით სანალოს კიდებზე...

კარებში რომ მობრუნდა, რაღაც აზრი მომივიდა და
ნამოვდექი. რუმინელი შეკრთა. მეც... და ორივემ ერთად
მივიდეთ ტუჩებზე თითი. აბა, ლამაზი იქნებოდა, უბის
წილაკები რომ მოგვემარჯებინა და მისამართების გაცე-
ლა-გამოცვლა ნამოგვეწყო?

აგლობუსი ისე დაიძრა, ერთმანეთისთვის აღარ შეგე-
ვიდავს.

- აბრუდი, ბრადი (დაბრუნდი, დაბრუნდი) ყვიროდა
მდუმარედ რუმინელი.


- რიცი შორა, ტიმი შორა - ლამის გამეგლიჯა სა-
გულე - როგორც თალ-შორა, ისე გულ-შორა, თუ რაც
უფრო შორს ხარ... ტიმიშო არა, ტიმიშოოოო, შორს,
შორს, შორს.

ახლა, ვინც არ უნდა იყო შენ, მკითხავ, კი მაგრამ,
რატომაა ეს მოთხრობა სექსზე და არ არის კომპარულ-
ზეო. მეც მინდა არა ვარ! რატომ და ისე, იმპერციალი
მიზნებისათვის.

ჰო, მართლად. შენი აბჯერი რომ ვიცი, იმასაც შენიშ-
ნავდი, რომ უთარგმნილი მოთხრობა მოგიყვები. რა თქმა
უნდა, კაპიკია ამ ნაამბობის ფასი ნებისმიერ ისეთ ენაზე,
სადაც პირველი "იგი"-სთანავე გაირკვეოდა, რომელი იყო
ჩვენს შორის ქალი და რომელი კაცი. და საერთოდ, ვინ
გითხრა, რომ რომელიც ქალი იყო და რომელიმე კაცი.
ზედმეტები მომდის?! რამდენჯერ უნდა გათხოვო, წუ
ვიწუხებუბთ რა ჩვენ ხომ ასე ძალიან გვიყვარს ერთმანე-
თი. შენ და ვინც არ უნდა ვიყო მე.



სანილი




წიგნი რამინი

ეზრა პაუნდი და DES IMAGISTES

როგორც ჩანს, ყველაფერი ლონდონის ერთ-ერთ სა-
ჩაიეში დაიწყო. თავიდან ეს იყო სამი პოეტის რი-
გითი და თითქოს არაფრით გამორჩეული შეხვედრა. ეზ-
რა პაუნდი, ჰილდა დულითლი (H.D.) და რიჩარდ ილ-
დინგტონი რეგულარულად სტუმრობდნენ ამ დანესებუ-
ლებას. ტკბილესი პაუნდის სისუსტე იყო და როცა
დულითლმა თავისი ახალი ლექსების ნაკითხვა სთხოვა,
ეზრა არც დაფიქრებულა - შეხვედრა საჩაიეში დაუთ-
ქვა. რიჩარდ ილდინგტონი იკონებს: "ეზრა დიდხანს ას-
ნორებდა H.D.-ს ლექსებს, შემდეგ პენსენ მოიხსნა და
გამოავიციებდა, რომ ჩვენ იმაყისტები ვიყავით". ეს ამბა-
ვი ჰილდა დულითლსაც აქვს აღწერილი თავის მოგო-
ნებებში: "ჩვენ ვისხედით ბრიტანეთის მუზეუმის საჩაიე-
ში და ეზრა ჩემს ლექსებს კითხულობდა, შიგადაშიგ
რჩევებს მაძლევდა - ეს ფრაზა ამოიღე, ეს სტრიქონი
შეამოკლე; შემდეგ კი, როგორც დასკვნა, ჩემს ხელნა-
წერს ბოლოში მიანერა: H.D. Imagiste. მე და ილდინგ-
ტონმა ერთმანეთს გადავხვედით". ეს მოხდა 1912 წელს.

არც დულითლი და არც ილდინგტონი არაფერს ამ-
ბობენ იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვეს თავიანთი ახ-
ლანათლობა. როგორც დულითლი იხსენებს - მათ მხო-
ლოდ ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ გაკვირვებისა თუ
თანხმობის ნიშნად - აღარ აკონკრეტებს. საკუთარი იმ-
აყისტობა, შესაძლოა, კიდევ გაკვირვებოდათ, მაგრამ
იმას კი მიხვდებოდნენ, თუ თვითონ პაუნდი რას გუ-
ლისხმობდა იმაყისტობაში. იმ დროისათვის სიტყვა "იმ-
აყიზმ" უკვე ჰქონდა საკმაოდ კონკრეტული დატვირთ-
ვა და არამხოლოდ სემანტიკური თვალსაზრისით. არა
როგორც მიმდინარეობა, მაგრამ როგორც მუშა-ტერმინი,
იმაყიზმი ჯერ კიდევ 1908 წლიდან მკვიდრდება
ლონდონის სამწერლო წრეებში. სწორედ 1908 წელს ახ-
ალგაზრდა ინგლისელ ლიტერატურებში დიდ პოპულა-
რობას იხვეჭს პოეტი და ფილოსოფოსი, თომას ერნესტ
ჰიუმი. "პოეზიის თიხბაბათები", ამ სახელწოდებით შე-
ვიდა ლიტერატურის ისტორიაში ის არცთუ მცირე-
რიცხოვანი თავარილობები, რომელთაც ჰიუმი საკუთარ
ბიანაში აწყობდა. აქ იკრიბებოდნენ როგორც პოეტები,
ისე მუსიკოსები, მხატვრები, ის ხალხი, ვისაც ახალი ხე-
ლოვნების შესვეურობაზე ჰქონდა პრეტენზია, და მას-
პინძელი საუბრობდა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა
ყოფილიყო ეს ახალი ხელოვნება. ჰიუმის ერთდღიან და
მჭკრემტყველება დიდ ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრ-
დებზე, რომლებიც მის შესხედებებს ლამის უმაღლეს
ჭეშმარიტებად აღიქვამდნენ. ამ შეხედებების ძირითადი
და არსი შემდეგში მდგომარეობდა: ყოველი ისტორიუ-
ლი პერიოდი მხოლოდ მის შესატყვის პოეტურ ფორ-
მებს გულისხმობს, შესაბამისად, XX საუკუნის მოფ-
ლატმა ვეღარ იგუებს ისედაც გაჭიარებულ რომანტი-
ზმის ტრადიციებს - მისთვის დამახასიათებელი მა-
ლალფარდებებით, პათეტიზმითა და, რაც მთავარია,
პოეტური მტყველების ნახვასმული კრიტლიზმინებით.
ჰიუმი და მისი მრევლი განსაკუთრებული ენთუზიაზმით
აპრიტიკებდნენ ვიქტორიანული პოეტების შემოქმედებას
და ეს ბუნებრივია, რადგან სწორედ ეს სკოლა ბატონ-
ობდა იმდროინდელ ინგლისურ პოეზიაში. ჰიუმი მათ
XIX საუკუნეში "გაჭყიდებს" უწოდებდა, არადა ჯერ
მხოლოდ 1908 წელი იდგა და XIX საუკუნის ინერცია,
ნესით, ასე მტკივნეულად არ უნდა აღქმულიყო. გასაკ-
ვირი ის უფრო იქნებოდა, რომანტიზმის ირასნოვანი
ტრადიცია ახალი კალენდარული საუკუნის დადგომის-
თანვე აირთქლებულიყო. სხვა თუ არაფერი, მაშინვე



ლი ინგლისის ლიტერატურულ ამინდს სწორედ გასული
საუკუნის პოეტები და მწერლები ქმნიდნენ. ასეა თუ ისე,
თმას ერნესტ ჰიუმი პირველი იყო, ვინც ინგლისურ
პოეზიაში XX საუკუნის "დაწყება" სცადა და, როგორც
შემდგომ დადასტურდა, არცთუ უშედეგოდ. თუმცა ეს
ყველაფერი ჯერ მხოლოდ თეორიულ დონეზე ხდებოდა.

სწორედ ჰიუმისა და მისი მიმდევრების საუბრებში
გამოიკვეთა იმაყიზმის პირველი კონსტრუქციები. ჰიუმის
თანხმად, თანამდროვე პოეზიის აზრობრივი და ემო-
ციური ზემოქმედება უნდა დამყარებოდა გამოსახვე-
ლობითი საშუალებების რთულ სისტემას, რომლის ცენ-
ტრი უნდა ყოფილიყო პოეტური ხატი (image). მან და-
ტლუნდა დამაყმუვა მოთხოვნები, რომელთაც, მისი აზ-
რით, ეს ხატი უნდა აკმაყოფილებდეს: პირველ რიგში,
ის უნდა ყოფილიყო უკიდურესად კონკრეტული და
თითქმის ხილვადი; ხილვადი - თავისთავად, და არა რო-
მანტიზმისთვის დამახასიათებელი რიტორიკული გა-
ფორმების წყალობით. რაც მთავარია, ის უნდა ყოფი-
ლიყო მოულოდნელი და უცარი. "ჩვენ გვყვავლება საგ-
ნის დანერა და არა აღწერა, ის თავის თავს ჩვენზე უკ-
ეთ აღწერს, ჩვენ კი მხოლოდ იმაზე უნდა ვიზრუნოთ,
თუ რადის, სად და რატომ დაენეროთ საგანი", ამბობ-
და ჰიუმი. მისი აზრით, პოეტი ვერ გაქვცვება და არც
უნდა გაქვცეს ყოველდღიურობას; პოეტი წერს იმის შე-
სახებ, რასაც ყველა ხედავს, რაზეც ყველა საუბრობს,
და მხოლოდ აკურსის მოულოდნელობამ უნდა გააპო-
ტუროს ერთი შეხედვით პროზაული რეალობა.

ჰიუმი გრძნობდა, რომ პოეტური ხატისადმი გა-
დამტკბელობა ყურადღება თავისთავად გულისხმობ-



საქართველო

და ლექსის ჟღერადობის გალარბუბებს, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ხედავდა, პირიქით, ტრადიციული კეთილმორავიანებისაგან გათავისუფლებას თანამედროვე პოეზიის უპირველეს ამოცანად სხავედა. "გამართლი მეტრიკული სტრუქტურა, - წერდა მისი, - ვიღარ აკმაყოფილებს ახალ პოეზიის მოთხოვნებს, ის მძიმე, ძველ-მოდურნი და უადგილოა; იდეაში - პოეზია საერთოდ უნდა გათავისუფლდეს მეტრისგან, რომელიც, მონოტონური მუსიკის მსგავსად, მხოლოდ აძინებს მსმენელს". ის ამტკიცებდა, რომ ლექსი სკულპტურას უფრო უნდა ჰგავდეს, ვიდრე მუსიკას, თვალზე უფრო უნდა იყოს გათვლილი, ვიდრე ყურზე.

მართალია, მისი იდეები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ მსმენელებზე, მაგრამ ეს უკანასკნელნი, როგორც ჩანს, ვერ არ იცნენ მზად მათი პრაქტიკული რეალიზებისათვის. რამდენიმე თვეში ჰიუმის მრეკელი საგონძობლად შეთხელდა, ხოლო იმავე 1908 წლის მინურულს "პოეზიის ოთხშაბათები" საერთოდ შეწყდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსმენელებმა არათუ ვერ შეძლეს, არც უფიქრიათ ამოდგრის იდეების პრაქტიკული განხორციელება. ისინი ამ იდეებს იმთავითვე უტოპიად მიიჩნევდნენ და, ვინ იცის, სწორედ ამის გამო მოსწონდათ. მაგრამ უტოპია, თუნდაც დოზირებული (კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით), ადრე თუ გვიან მოსაწყენი ხდება, და ისინიც ჩამოშორდნენ თავიანთი კერას.

ამრიგად, იმაჟიზმის თეორია დროებით დაკონსერვდა. თურმე მხოლოდ ოთხი წლით, მაგრამ მაშინ ამას ვერაფერს ივარაუდებდა. პირიქით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქმის თვით ჰიუმცაც ხელი ჩაქინა თავის იდეებზე და ნებაყოფლობით გადაეცა ჩრდილად. მომდევნო ოთხი წლის მანძილზე თავისი ლექსების დაბეჭდვაც კი არ უცდია. სხვათაშორის, მისი ლექსები არც მანამდე გამოქვეყნებულა. ჰიუმს, როგორც პოეტს, მხოლოდ მეგობრებისა და მიმდევრების ვინაო წრე იცნობდა. მისი დებიუტი 1912 წელს შედგა ჟურნალ New Age-ში, ანუ მას მერე, რაც პაუნდმა ხელმეორედ ააღორჩინა იმაჟიზმი.

მაგრამ მანამდე ოთხი წელი რჩებოდა. ამ წლებში მანძილზე ჰიუმს თითქმის მთლიანად გადაერთო ფილოსოფიურ მოღვაწეობაზე და დროდადრო აბეჭდებდა სხვაებს თავისი მასწავლებლის, ანრი ბერგსონის შესახებ.

რამდენადაც "პოეზიის ოთხშაბათები" ზეიარ ხასიათს ატარებდნენ და მათი ჩანერა თითქმის არასოდეს ხდებოდა, ჰიუმის იდეების შემდგომი პოპულარიზაცია მთლიანად მის ყოფილ მსმენელებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, ამის არანაირი სურვილი არ ჰქონდათ. სხვათაშორის, "პოეზიის ოთხშაბათები" არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ ის პოეტები, რომლებიც, ოთხი წლის შემდეგ, ეზრა პაუნდმა იმაჟისტებად მონათლა; ერთადერთი გამონაკლისი თავად პაუნდი იყო, და ისიც მხოლოდ ორჯერ დაესწრო ჰიუმის ლექციას.

* * *

ამერიკელი ეზრა ლუმის პაუნდი 1908 წლის სექტემბერში პირველად ჩავიდა ლონდონში. მანამდე ის რამდენიმე თვით იმყოფებოდა ვენეციაში და ამას ჰქონდა თავისი წინასწორი.

ეზრა პაუნდის პირველი მოგზაურობა ევროპაში, კერძოდ - ვენეციაში, 1906-1907 წლებში შედგა, როცა ის აგროვებდა მასალებს სადისერტაციო ნაშრომისთვის ლოპე დე ვეგას შესახებ. მაშინ პაუნდი პენსილვანიის უნივერსიტეტის ბაკალავრი იყო. 1907 წლის შემოდგომაზე იტალიიდან სამშობლოში დაბრუნებული პოეტი (უკვე პოეტი, რადგან მისი პირველი ლექსები სწორედ ვენეციაში მოგზაურობისას დაიწერა), ინდიანას შტატის ვაბაშ-კოლეჯში მიავლინეს ლექციების მასაქიობად. ეს კოლეჯი თავისი პურიტანული წეს-წყობით იყო ცნობილი და მას, ფაქტობრივად, საკვლესიო პირები მართავდნენ. თავიდან ეკლესიური სწრმალურად ატყუო, რომ არა ერთი უსიამოვნო ინციდენტი, რომელმაც დიამეტრალურად შეცვალა პაუნდის სამომავლო გეგმებიც და, შეიძლება ითქვას, მიელი ცხოვრებაც; ერთ დღეს კოლეჯის საერთო საცხოვრებელში ახალგაზრდა მესამე ქალი შენიშნეს, რომელიც, როგორც ვიკარევა, პაუნდის ოთახში ცხოვრობდა. მართალია, ვიკარევა ისიც, რომ იმ ხანებში ეზრა სხვაგან ათევდა ლამეებს და მესამთან თანაცხოვრება თითქოს არ უმტკიცებდებოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ უქონდა: მას კატეგორიულად მოთხოვეს, სასწრაფოდ დაეტოვებინა ვაბაშ-კოლეჯი. გარყვნილებაში ბრალდებული პოეტი ირწმუნებოდა, რომ მესამე მხოლოდ გულმონყავლების გამო შეიფარა და მასთან არანაირი "გასაკიცხი" ურთიერთობა არ ჰქონდა, მაგრამ ამით კიდევ უფრო გაიუარესა მგგომარეობა, ზოგმა ჰომოსექსუალად შეაყვას, ზოგმაც - იმპოტენტად.

ამრიგად, დამწყები მეცნიერის რეპუტაცია სერიოზულად შეებღავა. ეს თქმა უნდა, ეს ამბავი ვაბაშ-კოლეჯის კედლებში არ დარჩენილა. პირველი, რაც კოლეჯის ხელმძღვანელებმა გააკეთა, უენსილვანიის უნივერსიტეტს მისწერა მათი ბაკალავრის უფროსი საცქიელის შესახებ. სხვათაშორის, პაუნდის პირველი რეაქციაც წერილი იყო, თავის გასაბართლებელი წერილი, ოღონდ არა პენსილვანიისა, არამედ ფილადელფიაში - ლონდონ დადებითთან გაგზავნილი. პაუნდს დულითი ვერ კიდევ უნივერსიტეტის პერიოდში უყვარდა, მაგრამ, როგორც უცნაურად უნდა იყოს, სწორედ ამ საბოლოო წერილში შესთავაზა დაქორწინება, რაზეც დულითმა კატეგორიული უარი შემოთვალა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაწერილ მოგონებებში დულითი კიდევ

ერთხელ გაიმეორებს, რომ მისი უარი არანაირად არ ყოფილა დაკავშირებული კოლექტივში მომხდარ ინციდენტთან. ეტყობა, ეს მართლაც არ ყოფილა ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილება, რადგან, როგორც ჩვენი წერილის დასაწყისიდანაც ჩანს, მათი ურთიერთობა ამერიკაში არ დასრულებულა, ისინი ლონდონშიც ერთად იყვნენ და დღეობის არაერთხელ ექნებოდა შესაძლებლობა - შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.

ვაბაშ-კოლეჯის ინციდენტი და დღეობის უარი, ეს ორი უსაბოთლო ამბავი, საკმარისი აღმოჩნდა პაუნდისათვის, რათა ის ამერიკიდან „გაქცეულიყო“. 1908 წლის თებერვალში პაუნდმა გემით გადაცურა ატლანტიკის ოკეანე და გაზაფხულზე უკვე ვენეციაში იყო, ქალაქში, სადაც წლინახევრის წინ პირველად იმოგზაურა და რომლის სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე არ განუღებია. შეიძლება ითქვას, იტალია ერთგვარ სიმბოლურ მნიშვნელობასაც იძენს პაუნდის უცნაურ ბიოგრაფიაში. ზემოთ პირობითად ვახსენებ სიტყვა „გაქცევა“, და აქვე დავძენთ, რომ ეს არ იყო მსგავსი ქმედების პირველი და უკანასკნელი პრეცედენტი მის ცხოვრებაში; თანაც ყოველთვის, როცა ის გარბოდა, გარბოდა იტალიაში. ასე იყო ოციან წლებში, როცა ლონდონითა და პარიზით საბოლოოდ განპილებული პოეტი ოჯახთან ერთად გაემგზავრა იტალიაში და ქალაქ როპოლოში დასახლდა, შემდეგ რომში გადავიდა და აქტიურად ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, პაუნდი, როგორც ფაშისმიის პროპაგანდისტი და პოლიტიკური დამნაშავე, მოკავშირეება დააბატონებს და, პიზას საკონცენტრაციო ბანაკში რამდენიმე თვითნა ტუსალობის შემდეგ, გასასამართლებლად ამერიკაში გადაიყვანეს. ერთადერთი, რამაც პოეტი სასიკვდილო განაჩენისაგან იხსნა, მისი ფსიქიკური მდგომარეობა იყო. მას სამუდამო პატიმრობაში მუხრანობა მიესაჯა აშშ-ს ერთ-ერთ ფსიქიატრიულ ციხე-სიბინაკში. ოროცდობადათან წლებში პაუნდის კოლეჯებში, ელიოტმა, ოდენმა, ფროსტმა, ლოუელმა და სხვებმა, სერიოზული კამპანია წამოიწიეს პოეტის გათავისუფლების მოთხოვნით; მათი არგუმენტი მარტივი იყო: მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა, საუკუნოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოეტი სავსეობი არ უნდა მგდარიყო. ამ პერიოდში პაუნდს მიენიჭა ბოლინგენის პრესტიჟული პრემია „პიზური კანტონისთვის“; 1955 წელს ნობელზე წარადგინეს. ბოლის კოლეჯების მრავალწლიანმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და 1958 წელს, თვით აშშ-ს პრეზიდენტის უშუალო განკარგულებით, თორმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ, ეზრა პაუნდი გაათავისუფლეს. და პაუნდი კიდევ ერთხელ გაიქცა: პირველივე ხომალდით გაემგზავრა იტალიაში და ამჯერად უკვე სამუდამოდ დაფუნდა იქ.

ძნელი სათქმელია, რატომ იზიდავდა პაუნდს ვენეცია, საერთოდ - იტალია, და რატომ გრძნობდა თავს ასე კარგად ამ ქვეყანაში; რატომ ხიზლავდა ყველაფერი იტალიური, იტალიური პოეზია, იტალიური ფაშისმი, იტალიური სამზარეულო... ამის მიზეზი მხოლოდ მისი უწყველი ტემბრამენტით და ექსცენტრულობა, რომლითაც იგი მართლაც იტალიელს უფრო შვავდა, ვიდრე ამერიკელს. მიუხედავად სიცოცხლეშივე, მეტიც, ახალგაზრდობაშივე კლასიკოსად აღიარებისა, პაუნდი თავისთვის მაინც ვერგაგებულ პოეტიად თვლიდა და იქნებ ამიტომაც იზიდავდა მას იტალია - არაინფლისურნიკიანი გარემო, სადაც უბრალოდ il poeta იყო და მის პოეზიას ცრტა თუ იცნობდა.



თომას ბენდს უარი

1908 წელს ვენეციაში ჩასულ პაუნდს პიჯაკის ვიბეში მხოლოდ 80 დოლარი ედო, ჩანათაში კი - ლექსებით სავსე საქალაქე. ამ თანხით, მაშინდელი კურსით, მხოლოდ თვენახევარს თუ გაატარებ ვენეციაში და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე ღარიბულ ოთახსა და დღეში ერთჯერად კვებას დასჯერდებოდა. პაუნდს იმედი ჰქონდა, რომ გონდოლას მენჩანისობა მაინც შეძლებდა - უკეთეს სამუშაოზე ვერც იოცნებებდა - მაგრამ რამდენიმე დღეში დარწმუნდა, რომ ისეც კი მიუწვდომელი იყო მისთვის. ჯერ ერთი, იტალიური არ იცოდა, მეორეც - ძალიან საცქვოდ გამოიყურებოდა ადგილობრივთა თვალით. „თუ ამერიკელი ხარ, ტურისტები იყავი და ფული აქეთ გვაძლი, თუ არა და - შენ გზაზე წადი“, დაახლოებით ასეთი სიტყვებით ისტუმრებდნენ სამუშაოს მაძიებარ პოეტს. ბოლოს, როგორც ამერიკის მოქალაქეს, თანაც პაკალაეს, აშშ-ს საელჩოში 500 დოლარის სესხი გამოიყო, რომელიც სამუშაოს მოძიების შემდეგ ნაწილ-ნაწილ უნდა დაეფარა. მაგრამ პაუნდს სულ სხვა გეგმაში ჰქონდა. 500 დოლარი საკმარისი თანხა იყო, რათა ის ლონდონში გადაბარებულყო. მაგრამ მანამდე ერთი მნიშვნელოვანი საქმე უნდა მოეგარებინა: ის დღეობი უნდა ჩასულიყო, როგორც პოეტი ამიტომ, იენისის თვეში, სულ რაღაც 8 დოლარად, ერთ-ერთ ვენეციელ მესტამბეს თავისი ლექსების კრებული დააბეჭდინა, მართალია, მხოლოდ ოცდაათი ეგზემპლარი, მაგრამ პოეტობის დამადასტურებელ საბუთად ესეც კმაროდა. კრებულს A Lume Spento ერქვა. მიუხედავად თავისი წრეგადასული თავდაჯერებულობისა, მაშინ პაუნდი ვერც იფიქრებდა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ეს პატარა ნივინ ინტელისურნიკიანი მოდერნიზმის ერთ-ერთ ათვლის წერტილად შეირაცხებოდა. ჯერ კიდევ ვენეციაში მყოფმა პაუნდმა პირველი სასაჩუქრო ეგზემპლარი თავის უახლოეს უნივერსიტეტულ მეგობარს, მომავალში დიდ ამერიკელ პოეტს, უილიამ კარლოს უილიამსს გაუგზავნა. ბარათში, რომელიც უილიამსმა წიგნთან ერთად მიიღო, პაუნდი წერდა: „თუ თვლი, რომ A Lume Spento ბნელი და გამაღიზიანებელი წიგნია, მეც გეთანხმები... მაგრამ უნდა გახ-

სოვედს, რომ მე არც ვცდილობ პუბლიკისათვის წერას. არ შემეძლია. საამისოდ ქუჯა არ მყოფნის“.

პუბლიკისათვის არ ვწერო, ამბობს პაუნდი და კრე-ბულის პირველივე ლექსი “ჩინო” - ალორძინების ხანის მოხეტიალე პროვანსელი პოეტის, ჩინო პოლენზის მონო-ლოგი - ასე იწყება:

ვაი, სამ ქალაქში ვმღეროდი ქალებს,

მაგრამ ერთი იყო ყველა.

ამიერიდან ვიმღერებ მზეს.

ჩინოს ნიღაბს ამოფარებული პაუნდი, ცხადია, თავის სათქმელს ამბობს; ზოგადად - მისი პოეზიის საგანი იქ-ნება რაღაც სხვა, იმისაგან განსხვავებული, რაც მანამდე იყო, კონკრეტულად კი - ის აღარ უმღერებს ქალებს, ანუ პუბლიკას. იმავე სამსტრიქონედი ლექსის შუ-ანელში კიდევ მეორდება, ოღონდ ამჯერად ერთი მნიშ-ვნელოვანი ფრაზა აქვს ჩამატებული: “მე სამ ქალაქში ვმღეროდი ქალებს, მაგრამ ყველას ნაცრისფერი თვალები ჰქონდა და ერთი იყო ყველა. ამიერიდან ვიმღერებ მზეს“. ეს ორი სიტყვა - ნაცრისფერი თვალები - ქალებ-ბის (პუბლიკის) რაობასაც განმარტავს და მზის სიმბო-ლოსაც აკონკრეტებს. გარკვეულწილად, პაუნდმა პირვე-ლივე ნიგნის პირველივე ლექსში ჩამოაყალიბა მთელი მისი შემდგომი შემოქმედების არსი. და კიდევ ერთი ცე-ტატა: კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, De Aegyptio, ასე იწყება:

მე ვარ, მე თვითონ ვარ ის, ვინც იცის გზები

ცაში...

და ცოტა ქვემოთ:

Manus animam pinxit (*ხელმა დახატა სული“ (ლათ.) -*

ჩემს ხელშია ჩემი კალამი.

“კალმით ხელში“ და საკუთარი ნიგნის რამდენიმე ეგზემპლარი ჩანთაში, 1908 წლის აგვისტოში ეზრა პა-უნდი ლონდონს გაემგზავრა. “შინდა ავუყუც ტემზას სა-ნაპირის და ბილ იეიტსს გადავეყარო“, მისწერა მან უილიამ კარლოს უილიამს გამგზავრებამდე.

* * *

ითვლება, რომ XX საუკუნის პირველი ათწლეულის ინგლისი უჩვეულოდ მაღალი ლიტერატურული აქტივი-ობით გამოირჩევა. ეს იყო საგამომცემლო ბიზნესის აყე-ვების ხანა, როცა ლონდონ-სიტის ცენტრალურ ქუჩებში ერთიმეორის მიყოლებით მრავალდებოდნენ ნიგნის ფარ-დულები, იქმნებოდა ახალ-ახალი ლიტერატურული დაჯგუფებები, როგორც მწერალთა, ისე მკითხველთა კლუბები და ორდენები. ჩვენ ნანილობრივ უკვე შეე-ხეთ იმ ლიტერატურულ სიტუაციას, რომელიც სუფევდა ლონდონში 1908 წელს.

ბოლო თავლასთან მივიყვანა, სადაც დიდრონ-წაბლისფერთვალემა ცხენი იყო.

- რა ჰქვია? - ვკითხე.

- ყურძენა.

აღვირი გაუკეთა და გამოიყვანა. მერე აღვირი მე მომცა ხელში, თვითონ კი ცხენს ჯაგრისით დაუნყო წმენდა. ცხენი დანახვისთანავე ინტერესით გვათვალეიერებდა, ახლაც მომწერებოდა დიდი, ყურძენივით წყლიანი, თბილი თვალებით. რამდენიმე ნაბიჯი გადმოვდგა ჩემსკენ, სულ ახლოს მოვიდა (ამ დროს აბდულა უნაგირს ადგამდა, თასმებს უჭიმავდა). ისევ შემეხედა, მერე კისერი წაიგრძელა და კბილები გადმოყარა. "თურმე კუნა სდომე-ბია"-მეთქი, გავიფიქრე და თვალეში შევხედე, ვანიშნე, "შენი სულაც არ მეშინია"-მეთქი. ყურძენა აღებდა და კეტავდა პირს, თითქოს ცარიელ ჰაერს კუნდა და მომეყვანა, რომ მეათამაშებოდა.

რამდენი ხანია, არ ვმჯდარვარ ცხენზე - იმის მერე, რომ გადმოვვარდი - ჯერ კარგად არ ვიცოდი, მხოლოდ ჩორთით დამყავდა და ხელებით უნაგირს ვეჭიდებოდი. ვიმეტჩირე და ვილაცის 3 წლის გაუხედნავ ულაყზე დაე-

ჯექი. ის კი გავარდა! აღვირს ვეჩაავდი, გაჩერების მაგივრად სიჩქარეს უმატებდა. ფიქრის დროც არ იყო, მხოლოდ იმან გამიელვა თავში, გადმოვარდინას ფეხი უზანგში არ უნდა დამჩქეს-მეთქი, ამიტომ ორივე ფეხი უზანგიდან გამოვიღე, მეგონა, გადმოვვარდებოდი და კარგადაც დავეცემოდი (გულის სიღრმეში სულ მაინტერესებდა, ცხენიდან გადმოვარდნა როგორი იყო), მაგრამ არ ვვარდებოდი (რატომღაც შემეშინდა, ვინმეს არ შევეჯახო-მეთქი), გადმოვხტი და თავით ჩავერჭე მიწაში (ჩემმა მეგობარმა ელენემ როცა გაიგო, გაუკვირდა, "თავით როგორ მოახერხე, მე სულ უკანალით ვეცემოდიო"... რა გასაკვირია, ვისაც რა აქვს მძიმე, იმით დაეცემა!).

ამის მერე, ცოტა არ იყოს, დავშინდი. თან რალაც საქმეებიც გამომიჩნდა და ცხენებისთვის აღარ მეცალა. იაჩო და ლელი კი დადიოდნენ, მწვრთნელიც ყავდათ, რა თქმა უნდა, იაჩო მაგობებებს...

- მე ჟოკეი ვარ, - თქვა აბდულამ, - მოკლე დისტანციაზე გიასაც (მთავარ მწვრთნელს) ვაჯობებ, შორი მანძილებზე კი გია მაგარი!

ყურძენა მანქმა გავიყვანეთ. "მესერს გასწვრივ ატარე", მითხრა აბდულამ, "ჯერ ნაბიჯით, მერე ჩორთზე გადაიყვანე". ცხენი ავიღალად დამემორჩილა, გადავიყვანე ჩორთზე და ვარტყამდი წრეებს. ყველა შიში და კომპლექსი ერთბაშად მომესნა, გათავისუფლდი...



გავლადი, სწრაფი ჩორით დამყავდა (უნაგირის თითსაც არ ვაპარებდი). წარმოვიდგინე, რომ კარგი ცხენოსანი ვარ, გურამი ვარ! (შემთხვევით არ იყო 4 ივლისი, გურამის დაბადების დღე). შემხვედრი ქარი მიხერავდა და თითქოს შაერთი ვეკიდე, ვისყენებდი, რას განიცდიდა ასეთ დროს გურამი და მჭეწენებოდა, ახლა გურამიც ჩემთან იყო და იგივე გრძობდა, რასაც მე!

არც სულ მეგონა, ცხენზე რომ თავისუფლად, დაუძაბავად მჯდარიყავი, პროფესიონალიზმი იყო საჭირო. ამ დროს ჩვეულებრივი განწყობილებაც საკმარისი ყოფილა! აღარაფერზე ვფიქრობდი, მხოლოდ "აღტყინებას" განვიცდიდი - თავისუფალი და უსალვოდ ბუნდური ვიყავი! აბდულაც მაქებდა, იაჩოზე მეტადაც (ჩემს მერე იაჩო ადევდა). როცა ვუთხარი, "იაჩო! ჩემზე კარგად იცის"-მეთქი, "არა, რას ამბობო!"

* * *

მეორე დღეს, გადავაბიჯე თუ არა საჯირობოს ზღურბლს, ჩემსკენ დიდიმ როტვეილერმა ისკუპა. მანამდეც მყავდა ნანახი, ოღონდ შორიდან. ვიცოდი, რომ აქ "შუშაობდა". ჩემს ფეხებთან დახტა და გაჩაჩრა. იაჩო შემოვიდა, ახლა იმისკენ გაიტყა. ვხედავთ, აბდულა და გია მოდიან.

- გია თქვენ ბრძანდებით? - ვეკითხები. საშუალო ასაკის, გამხდარი, ტანმოორილი კაცი.
- მე ვარ. აბა მითხარით, რა გინდათ, რა იცით...
- არაფერი არ იცით, - თქვა იაჩომ.
- ჩორით დაგვყავს? - ვუთხარი, - მორჩილი, მგრძნობიარე ცხენი გვინდა...
- ეგ მე ვიცო! - შემამყვებინა, - რომელ ცხენზე მჯდარხართ?
- ყურძენაზე.
- მაშინ ისევ ყურძენა გამოვიყვანო.

მეც ყურძენა მინდოდა. იაჩოსაც ვუთხარი, ყურძენა შემეყვარადა-მეთქი, საერთოდაც, ყველაფრის მიმართ შეჩვევა ვიცი. რომელ ცხენსაც კარგად გაატყნებ, ყველა შემეყვარდებაო, მისრა.

ყურძენას სტაფილო ვაჭამეთ, ხელისგულზე ვიდებდით და ის კი ტყუებით იღებდა. "უნდა ასიაშოვნო, რომ გასიაშოვნოს", თქვა იაჩომ და გაიცინა, "რატომ ქამს ცხენი სტაფილოს, კურდღლია?"

ნაწიმიანი იყო და ასფალტიანი გზით გავიყვანეთ ყურძენა მანეთთან.

გამა სწავლა თავიდან დაგვანყებინა - ალირი, უზანგა, ლაბანი... რა როგორ უყვებოდა ცხენს, დაჯდომის დროს ხელო სად უნდა მოგვადოთ, ალირი როგორ უნდა გვეჭიროს, ტერფებით როგორ უნდა დავებჯინოთ უზანგებს...

როგორც პირველად, წვეკლის გარეშე გადავიყვანე ყურძენა ჩორთზე, მაგრამ ახლოს დედალი ცხენები იყვნენ, მანეთის გვერდით ძოვდნენ. ყურძენამ ჯერ კიდევ შორიდან შკოდა თვალს - აუღლდა, აფორიკადა...

საე შორიდან გრძობისა? - გაბიჯებოდა.
 გია და როი (როტვეილერი) ნაეიდნენ მათ გასარეკად. მაგრამ მერე დედალი ცხენები თავისი კვიციებით ისევ მოვიდნენ. ყურძენამ დაქანა თვალბინი და გატყნდა. გია მეძახობდა, ალირი კარგად დაიჭიროე. ყურძენა ძნელი მოსაქაჩი იყო, ამბობდნენ, მძიმე ტონი აქვს... გია და როი ისევ ნაეიდნენ მათ გასარეკად. ყურძენა დღეობდა და აქეთ-იქით ანყდებოდა. მაგრად დაიჭიროე, ისევ დამძახა გია. ფაშტებით თვალსკენ გარბოდნენ, ყურძენას ძლივს ვაკაემ. - შექნდა, ვაგავრად, მაგრამ პირი ცხენების სანინააღმდეგოდ შევატრიალებინე, ალირიც ისე მოვქაჩე, გამა როგორც მასწავლა და შევაჩერე. ალირი მოკვლზე

მეჭირა, ს კი შთოთავდა, მენინააღმდეგებოდა, მეც მაგნად უსერეოდა თავს და ცხენებისკენ არ ვანყდებდი. ამა-სობაში ჭარვეს ცხენები და გამიპვირდა, ყურძენა რომ დაეიმორჩილე. თავიდან ხომ არ ვიცოდი, როგორ მოიქცეოდა, როგორ გაგიფეხებოდა, შეიძლებოდა გავარდნილიყო, "სვეტკებზე" დამდგარიყო, არ დაეუკრებინა ჩემთვის, მაგრამ ყურძენამ დამიჯერა.

- იაჩოს ისევ ნაკვალა დასჭირდა ჩორთზე გადასასყვანად.
- ცხენი ჭკვიანი ცხოველია? - ვკითხე გიას.
- არც ისე, ცხოველებში სადალაც მეშვიდე ადგილზეა... (ეს მუცე მასხვს, გაბუთო იყო, სახრანობის თუ მიუხერხებულის შრეც, ღორი ცხენზე წინ იყო).
- ბეთანიაში როცა მიგვყავს ცხენები, - გააგრძელა გიამ, - გზაში ყოველთვის დაჯგუფდებიან ხოლმე. სამ-სამი, ოთხ-ოთხნი, ერთად დედაინი. თუმცა, არანც ცხენები, ვერავის რომ ვერ უშეგობრდებიან. ერთი ჭკვიანი, კარგი ცხენი იყო, მაგრამ "პახოში" როცა წავიყვანე, სულ ცალკე დავიოდი, ბალახსაც ცალკე ყველასგან განმარტობით ძოვდა. არ ვიცი, ასე რატომ იყო. ყურძენას ხომ დედაც, დედალი ცხენების დანახვაზე რა დღეშია, მაგრამ იდელებთან ერთად მაშალიც თუ დინახა, მაშინ უნდა ნახო მაგისი გადარევა!
- ისე, თუ მეგობრობს ვინმესთან?
- არავისთან. ერთ ცხენს განსაკუთრებით ვერ იტანს, "საქმროს"... ჩვენთან ერთი ახალგაზრდა ქალი დადიოდა, ირა. კარგად იცოდა ცხენზე ჯდომა, ხანდახან შეილიც მოყავდა... ერთხელ მანეთში ერთად იყვნენ, ირა "საქმროზე" იჯდა, მისი ბიჭი კი ყურძენაზე ირას ქმარიც იქვე იყო. უცებ ვხედავ - ყურძენა მიმდევს "საქმროს", გიჟი-ვიში მიზრის მისკვ, ბიჭს კი ალირი ხელში აღარ უჭირავს... მიხვდეთ, ვერაფერი მოგსაზრებდი. "საქმრომ" მოუხვია, მოუხვია ყურძენამაც მვეთრად და ბიჭი შაერთში გაფრინდა, სახით გასრიალდა სრეშზე. კანი გადაუსკდა, სისხლი მოსლი... სანამ მე და მამამისი ვაშმეცხვებ გავექცეთ, ყურძენამ საქმრო მიიმწყვდია და თუმცა ბერის ვერაფერს დააკლებდა, რადგან "საქმრო" ჯიშინი, წინინდა სისხლის ცენია... ყურძენა კი ჭკუიდან იყო გადასული, აღარ იცოდა რას ჩადიოდა, გადმოაგდო ირა ცხენიდან და კენდა გამტეხი...
- ირას რატომ?!
- უცვკე ჭკუაზე აღარ იყო! დღემდე შრამები აქვს ირას ფეხზე, მოკლე კაბას ვეღარ იცმევს... როი, მოდი აქ! - გასახბა ძალს, რომელიც ყურძენას დვეჯით ირობდა თავს.

ცხენი, ძალი... ჩემს საყვარელ ცხოველებთან ერთად თავს იდეალურ სიტუაციებში ვგრძნობდი.

როი ხან მჭერდებოდა, მერე ისევ გაიქცეოდა, გამოკვივებოდა ყურძენას, ახტებოდა, ერთი-ორჯერ კულზე კბილებითაც წამოვიკიდა და გაათრია ცხენმ.

- არ უშინია, ნისლი რომ მოარტყას? -
 -ჰო, ერთხელ მოხდა კიდევ, მაგრამ ჭკუას მაინც ვერ სწავლობდა... როი, მოდი აქ, შე თავგასიებული!

როი მოპანტურობს, "გასიებულს" თავი და დიდი ტორები სასაცილად მოაქვს. ჩვენთან დგება, თავს ფეხზე მაყენდობს.

* * *

"უიღბლო დაღ გვექონდა - არც გია იყო, არც როი, არც ყურძენა. აბდულამ ერთი ცხენი გამოგავყვანინა, ნაბიჯიც ვერ გადავადგმევინე. იაჩო იცინობდა და "ყრუ-ჩუნა" ცხენს ეძახოდა.

აბდულამ დაიჩრქა, იაჩო აქ დარჩეს, შენ კი ცხენით ბილიკულზე გაგასერინებო (ბობრომის ზემოთ რომ პატარა მოეძია, იქ).

- ან ორივე წამოვალთ, ან არც ერთი, - ვუთხარი.
- აბა, ერთი ცხენით ორივე როგორ წავიყვანოთ?
- უსურე შენ, თათარი მაიმუნია - გაბრაზდა იაჩო.
- რიგ-რიგობით დავედებოთ.

აბდულას აღვირთი მიყავდა ცხენი. მე ცხენზე ვიჯექი, იაჩო ფეხით მოგვეყვებოდა. აღმართი გვეწონდა ასევე. აბდულას სირბილით აყავდა ცხენი, როგორც შეეძლო, "ანჭობდა". იაჩო ვერ ენოვდა, თანდათან უკან რჩებოდა, მინც მობრბოდა. "მაგარი გოგა და მაგარი მგებარია!" - გავიფიქრე, დიდი ხანი არ იყო, რაც ვიცნობდი.

- ანია! - დამიძახა, - უთხარი, გააჩეროს... თუ არ გააჩერებს, გადმოხტის!

- გააჩერე, - ვუთხარი აბდულას. აბდულამ შეაჩერა ცხენი, თვითონაც მაგარად იყო დადლილი. მერე იაჩო დაჯდა ცხენზე, მე ფეხით მივეყვებოდი... უკანა გზაზე კი ორივე ვიჯექით ერთად, ცხენი სასაცილოდ ჩადიოდა დაგრეხილ, ვინრო ბილიკებზე.

მანქმში "საშვა" დაგვტვდა, დიდი ტანის, ასაკში შესულ, ჯიშით ცხენი - ორი კაცი ამოდ ცდილობდა მის ადგილიდან დაეპრას. აბა სცადე, შენ თუ დაგიჯერებსო... ვცადე, წკებაც ვატრიალე... "საშვა", გოგო მინც ეცი პატივიო... მაგრამ საშვამ პატივი არ მეცა.

იაჩოსთან ავედი. რაღაც ლაპარაკი დავინწყეთ ეწერ-გუტიკულ მდგომარეობებზე, დღეზე და ღამეზე... ღამით ხატვა დავინწყეთ, თავისი ნახატები მომიტანა. ზოგჯერ დღისით ფარდებს გადავინე და ბნელ ოთახში ვზივარო, დედაჩემი შემოდის - "კუბოში ხომ არ ზიხარო?" - იცი-ნის. მერე დატრიალდა, ჩაი გამოკვთა, პურზე კარაქი წამისვა და ზედ დიდი ყველის ნაჭერი დამიდო. ჩა კარგი ჩაია-მეთქი, ვუთხარი. ჩემი გაკეთებულება და იმტომო, თვითონ ყავას სვამდა. მთელი დღე ყავას სვამო. სიგარეტზეც მონია, იშვიათად ვენწვიო. ვიცე-მეთქი.

გია, როი და ყურძენა შორიდანვე დავინახეთ - გიას თავისი თეთრი ჩაჩით ვცნობ ხოლმე და მის დანახვაზე სულ მივი ალექსიძის პოემა მახსენდება, "თეთრჩაჩიანო პატარა კაცი"... მანქმში გამოსულიყვნენ.

ჯერ იაჩო დაჯდა ცხენზე, მე კი ისევ გიას ვესაუბრებოდი.

ვეკითხებოდი - რა სიგრძეზე უნდა გეჭიროს აღვირი ჩორთის თოქ ქვენის დროს, ქვენის დროს როგორ უნდა იჯდე... ცხენი უნდა შეაჩირო შენს ნივანზე სიარულს, თავის ნებაზე არ უნდა ატარო, ქვენებაზე როცა გადავა, უნდა შეანდგოს, მერე ისევ მიუხვიო. განსაკუთრებით ის მაღალიყნის, ნებისმიერი ცხენის დაჭერა რომ არ შეგვიძლია-მეთქი. კაცი ცხენზე ძლიერია და ყოველთვის დაი-მორჩილებს, მთავარია, არ მოეშვა, ყველაფერი უნდა სცადო...

მომიყვა, როგორც გადმოაგდო ყურძენამ ერთი გოგო - აგიყვება, ხან ასვალტზე ატენა, ხან მანქმში, ჯოხსაც ურტყამდა... ესევე გაგიყვდა (ყურძენას გაგიყვდა კი...) და გადმოაგდო! ვეღარ დაიმორჩილა... ცხენის ქვეშ ჩავარდა, კინაღამ ჩლიქი მოხვდა.

ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ამბავი მომხდარა - ფრანგები ყოფილან ჩამოსული, ერთი გოგო ცხენს წარა-მარა გაეგნე უტყავუნებდა ხელს, თავისი ქვეთი, ეფერებოდა. რამდენჯერმე ვუთხარი, უკან წე უდგებარო... ერთხელაც, ცხენი ბალახის მოსანჩენად გაჩერებულა, გოგო თუ უკნინდა მისულა, ცხენს წიხლებში აუყვია, ხელის მტვერნი-ში მოურტყამს... გაუსიჯდა, ექიმთან წაიყვანესო.

როი ისევ დასდევდა ყურძენას.

გზაში იაჩო თავის აზრებს მიზიარებდა - ცხენზე ისე

უნდა იგრძნო თავი, როგორც ერთი მთლიანია... მამჭე-დებდა, ყველაფერი თავისით მოხდებდა, როგორც პიანინო-ზე დაკვირისას ხელი უმხასვრებებსო... აი, ნახავ, შენ თვითონ გაგიკვირდებოა...

II

იაჩო ზღვაზე წავიდა, მარტო დაჯრი. ყურძენაც ავად არის, ფეხი სტკივა. აბდულამ თქვა: საშვს და ნიშს ვერ მოერევი, არ ვიცი, იქნებ გიამ სხვა ცხენი გაგაყვანინოსო.

თავლაში შევედი და კვიცს ვეთამაშებოდი - ერთი საყვარელი კვიცია, თან ისეთი უშიშარი, ერთხელ თაველიან დაკვიცობა, გვერდით მთორე ცხენის თავლაში შევიდა და იქიდან ქენას უპირებდა "მეზობელ" ცხენს... ჩვევც გვაფერებინებს ხოლმე, ისეთი ფუმფულაა, ხელი გვევლებს მის ბუნემ!

ამასობაში გიაც მოვიდა - ყურძენას გარდა კიდევ ერთი ცხენია, პირინი, რომელზეც შეიძლება დაჯდეს და ისიც დაშავდა, გუშინ დიდი ნონის ულევი შეჯგადა და ზურგი გადაუტყავავაო. რჩებოდა ისევ საშვს, ნიშს და აზიმუტი. მე ვუთხარი - საშვს და ნიშს ვიცი, აზიმუტი არ ვიცი-მეთქი.

- მაშინ აზიმუტი გაიყვანოთ. შეკაზემ აბდულა, აზიმუტი!

აზიმუტი 19 წლის ჩალისფერი ულაყი აღმოჩნდა.

- გადაიყვანე ჩორთზე, - მითხრა გიამ.

- ვერ გადამაყვას, - ვუბნები, - ჯოხი ხომ არ იცი-ლო?

- არა.

ვაცოვლებდი, მოკლედ ამ ცხენს, სადაც ბალახს დაი-ნახავს, ყველგან ჩერდებოდა და ძლივს გადამაყვას.

- არ მინდა, - ვუბნები, - ასე სიარულს რა აზრი აქვს?

- ატარე, - მეუბნება, - შენი ბრალია, რომ ვერ დაგყავს!

წკეპლის თლა დაიწყო. დაიჭო, დამიძახა და მესროლა. ამ ცხენმა კიდევ ზტუნაობა დაიწყო. წკეპლა, რა თქმა უნდა, ვერ დავიჭირე. ასე გაიმეორა რამდენჯერმე. მერე წკეპლის დაჭერა შევედი, ეს ცხენი კი სულ დაშტობა. ერთი-ორჯერ პატარა მანქმის ცხენზემ ჩორთით მამავალ ცხენსაც გამოვიკვირე ცოტაზე გაყვევობა და ჩერდებოდა. მერე ბალახი ნახა და ისევ გავერტვდა, ვეღარ მოვიშორეთ, დახტოდა ერთ ადგილას, ტლინკებს სიარდა. აინეოდა წინა ფეხებით ჰერმბო, თითქოს ყალვზე ("სვეჩებზე") დგებო, მერე დაწარტვებოდა წინა ფეხებით მინას, ამავემ დროს უკან ტლინკებს აისროდა და დახტოდა. ასე-კიამ წკეპლით და შეძახილებით რომ ვერ გაგადო, როის მოუშმო. გამოწინო როი ღრწინო, მაგრამ ცხენი შე-მოუტრიალდა და გაინია მისკენ. როის შეშინდა, უკან დახვევა დააპირა... როგორც იქნა, წავუდით ჩორთით.

შევიყვანე დიდ მანქმში და ის ცხენიც იქ იყო, პატარა მანქმთან რომ შეგვტვდა. მივყალვებიდ ხოლმე იმ-სა და აზიმუტზეც მისდევდა. უკან მიყვი და ძალიან ახ-ლას არ მიხვიდეთ, მითხრა გიამ. ჩემი ცხენი კი გასწრე-ბას ცდილობდა, გვერდში ამოუდგებოდა ხოლმე, მაგრამ აღვირთი ვთოკავდი, რომ წინ არ გამეშვა - ალბათ ძვე-ლი დროება გაახსენდა, ძველი დოღი (აღრე პარკი ცხენი იქნებოდა-მეთქი, გიას ვუთხარი - ახლაც ლამაზი ტა-ნი ჰქონდა, გამბარა და მოყვანილი იყო). გადავიკვდა ქვენებაზე და მეც მეტი რა მინდოდა! ძალიან მსუბუქი ცხენი იყო, თავის ბუმბულივით ვგრძობოდი! მერე უკეთესად დავეცე მართვა, იმ ცხენს პატარა დისტან-ციაზე მივყალვებიდ, აღვირთი ვიჭერდა.

მერე ის ცხენი გავიდა მანეჟიდან, აზიმუტი უკვე მემორჩილებოდა, ჩორთით ვატარებდი, მაგრამ საშინელი აუტანელი ცხენი იყო - თავლის მიმართულებით გარბოდა, სანანალმდეყო მიმართულებით კი ძლივს გადაადგმევინებდი ნაბიჯს. უცებ სწრაფი ჩორთით წავიდა, შევეხედე და მანეჟის კარები ღია იყო. დროზე ვერ მოვითოვე და გამივარდა გაართ. თუმცა, ყურძენასავით ძნელი მოსახვევი არ იყო. სახლისკენ რომ არ წასულიყო, მოხვევინევი გვერდზე, სანანალმდეყო მიმართულებით და ისე სწრაფად მიდიოდა, რომ მიმეშვა, გაჭენდებოდა კიდევ. გიამ დამიძახა, ფრთხილად, ხეს არ დავეჯახო - ხენეში მივიდიოდი. ისევ მოვახვევინე, შევიყვანე მანეჟში. ერთ-ორჯერ გამიჭენდა მანეჟის დიაგონალზე (გიამ მითხრა, რატომ არ აკავებო), ერთ-ორჯერ გამიგეჟდა კიდევ - ხტუნაობას დაიწყებდა ხოლმე (ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს ცხენს ვხედნიდი) და ერთხელ მაგრად დამახეთქა უნაგირის ცხვირზე.

ხვალ ნახე, უკეთესად დაგემორჩილებოა, გიამ მითხრა.

მაგრამ მეორე დღეს უფრო ბუნიობდა, თან გიაც არ იყო, ლისის ტბაზე წავეყვანე ცხენები. ცოტა ვაბალახე აზიმუტი და წავეყვანე თავლაში.

ბილიკებთი ფიჭვთან გორაზე ავედი, იმ ადგილას, სადღე ერთხელ მე და იაჩოც ვიყავით ერთად - იაჩოს მოგროვებულ ფიჭვიც ისევე იქ იყო... ფიჩჩი მოვარგოვა, ვითომ კოცონი უნდა დაეთო და მწვანე შეეწვა... თან უცნაურ რაღაცეებზე ვლაპარაკობდით - კასტანადით და ვინყით... და მერე იაჩომ მომიყვა, როგორ გამოდიოდა ხოლმე სხეულიდან - "ისეთი შეგრძნება, თითქოს გადმოტრიალდი (ზურგზე წოლისას) და საკუთარ თავს დახედე ზემოდან. თავიდან ძალიან შემეშინდა..." "როგორი იყო?" "უძინა!" იაჩომ დაიწყო მოძრაობა ოთახებში, თავისუფლად ფრენდა, შორ მანძილებზეც... მერე და მერე ხშირად ემართებოდა... თუმცა, ზოგჯერ უჯან დაბრუნება უჭირდა, ვეღარ აიძულებდა თავის ასტრალურ სხეულს, მძინარე სხეულს შეერთებოდა - რაც ჩვეულებრივ თავისთ ხდებოდა-ხოლმე. "დაახლოებით იგივეა, წყალი მოგწყურდას და წყაროზე ჩახვიდე წყლის ასაღევად..."

ასეთ მდგომარეობაში შეიძლება დაინახო, როგორ დარბიან შენს გარშემო უცნაური არსებები... უცნაურ ხმებს გამოსცემენ... მთავარია, არ შეგშინდეს. "ერთხელ ავდექი და ხელი მოვკიდე ერთ-ერთს. ამავე დროს დავიინახე, რომ იგივე ხელი მუხლზე მედო... არსებები კი გაქრნენ..."

მე ვუყვებოდი ჩემს "მთავარეულის მოგზაურობაზე", როგორ დავეტიბალიობდი ოთახებში მძინარე, ერთხელ ქუჩაშიც რომ გავიდე... და კიდევ ერთ შეგრძნებაზე, ძილღვიძილის საზღვარზე რომ ხარ - "ვერც იქით მიდისარ, ვერც აქეთ გამოიხარ... თითქოს განიება იღვიძებს, სხეულს ჯერ კიდევ სძინავს (ცდილობ და ვერ აღვიძებ!) და გრძნობის ორგანოებსაც - ამდროს შეიძლება ისეთი ხმები გესმოდეს და ისეთ საგნებს ხედავდე, რაც იცი, რომ რეალური არ არის, რადგან გონებას არ მძინავს და აცნობიერებს, რომ ნაცნობ ოთახშია, მაგრამ სიზმრისეული ხილვებისგან თავს ვერ იხსნის"...

მერე სხვა მხრიდან დავეშვი, ბილიკებზე აბდულას რომ არ გადავეყროდი, კლდეების მხრიდან ჩამოვედი.

* * *

ყურძენა გამოკეთდა, მაგრამ ვილაც ბავშვებს ყავდათ გაყავანილი. მე პირინი მომცეს. მაგარი ცხენიაო, აბდულამ მითხრა და მართალიც გამოდგა, ძალიან მგრძობიარე

ცხენი იყო, ფაქტიურად კვიცი, 4 წლის.
 - დედალ ცხენებზე არ იწევს? - ვკითხე აბდულას.
 - არა.
 - რატომ?
 - ჯერ არ იცის.

ღია ყავისფერი, არცთუ მაღალი, ნაზი აღნაგობის ცხენი იყო. ყურძენასთან შედარებით ბევრად წვრილკისე-რა (ისე, მასიურ ცხენებზე თითქოს უფრო მყარად ზეხარ). ფეხარი ჯორივით ჭქონდა გადაპარსული, მოკლეა საყვარელი რამე იყო. ნახევარ საათს ვივარჯიშეთ, ალვირი მოკლედ მოქონდა, ძლივს ვიჭერდი, თორემ გაფრინდებოდა! ჩამოვედი თუ არა ცხენიდან, ალვირი მოწყდა - ხელში შემრჩა.

სალამოს ისევ მივედი პირინის გამოსაყვანად, ერთი ქერა გოგო იჯდა ინდიელივით, მასაც პირინი მოსწონდა. მანეჟში კიდევ რამდენიმე ცხენი იყო, თორი ცხენი სულ "სვეჩკებზე" დგებოდა და კიდევ ერთი, ყავისფერი, შავფეხება ცხენი, სულ პატრონის გადმოგებებს ცდილობდა - გავარდებოდა, კისერს გაჭიმავდა და თავს ისე გადაიქნევდა, რამდენჯერმე კინაღამ ხელიდან გააგდებინა ალვირი, კისრისტეით დარბოდა, კბილებს კრეჭდა და ჭიხინებდა.

მერე მე დავვეჭე პირინზე - "კატად" ვიქეცი. სწრაფი ჩორთით დარბოდა და შიგადაშიგ ჭქენებზეც გადამაყვავებ (თვითონ კი სულ ჭქენა უნდოდა). სრეშენე მისი ფლოკების თქარათქურს ვაყოლებდი სხეულის მოძრაობას, სრულიად დაუძაბავად ვიყევი. ბინდდებოდა, მხოლოდ ფლოკებით თქარათქურის ხმა ჩამესმოდა და ამ ხმას მინდობილი, თითქოს მართლაც ცხენის ნაწილად ვქეცულყავი... აღარ იყო ჩვენს შორის განსხვავება.

ხნელდებოდა. ცაზე ნახევარმთავრე ვკიდა... ხვალ მეც მივდივარ თბილისიდან, უკვე ძალიან ცხელა.

ივლისი, 2000.



14 მაისს 55-ე სკოლაში თბილისის საკრებულოს ინიციატივით და ორგანიზატორობით თბილისის სკოლების 178 მოსწავლე ოთხ საათის განმავლობაში თავისუფალ თემას წერდა. "რას ცვლის და რას არ ცვლის დრო", "რატომ უყვართ ზღაპრები დიდებს", "ქართული ხასიათი", "რას ახნავდა და რა არ ახნავდა ისტორიამ ქართველებს"... სულ 12 თემა იყო წარმოდგენილი.

ნამუშევრების შემოწმების უმთავრესი პარამეტრი ორიგინალური აზროვნება გახლდათ, ამასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო აზრის ლოგიკური სვლა, თემის მხატვრული გადანყვებაც და "ნაკითხობის" ხარისხიც.

პირველი პრიზით (კომპიუტერი პენტიუმ ოთხი) და ნომინაციაში ყველაზე ორიგინალური ნაწერისათვის დაწესებული პრიზით - ილიასა და აკაკის ბიუსტებით, მარიამ ლაშხია დაჯილდოვდა, თბილისის 51-ე სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე.

გთავაზობთ მარიამ ლაშხიას თემას.

მარიამ ლაშხია

სიმართლე რომ ვთქვა, წარმოდგენაც კი არ მაქვს, საიდანაა ეს ფრაზა. უფრო სწორად, საიდანაა ვიცი და დავიდან. დაფაზე იმ თორმეტ სათაურში მოხვდა და შემდეგ ჩემს რვეულშიც აღმოჩნდა ყველაზე "პრესტიჟულ" და ყურადღებაგასამახვილებელ ადგილზე, რომელსაც უბრალოდ, საკონკურსო თემის სათაური შეჭია. რატომ შეეპყრე არჩევანი ამ თემაზე? - იმიტომ, რომ ყველაზე არასასკოლოდ და არაჩვეულებრივად მივიჩნიე საერთოდ, არ მიყვარს ისეთი თემების წერა, რომლებზედაც ყველას თითქმის ერთნაირი, საერთო აზრი გააჩნია. არ მიყვარს, როდესაც კონკრეტული ნაწარმოებიდან გამომდინარე, ისტორიაზე დაყრდნობით ან რეალური ფაქტებით იწერება "შენი ფიქრი". ამ შემთხვევაში ცნება "შენი" ეკარგება და მიიღება სრულიად უსარგებლო და (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის) უინტერესო პროდუქტი - "საზოგადოების აზრი". იმიტომ, იმედია, არ მინცენთ თუ ეს თემა მთლიანად "ჩემი" იქნება.

როდესაც ეს ფრაზა გავიგონე, მესხიერების სიღრმეიდან რაღაც დაიძრა ზედაპირისკენ, მაგრამ მე შეეპყრე, ძალა არ დავატანე, არ გავიხსენე, რადგან ამ შემთხვევაში გავლენის ქვეშ მოვეცედი და დავწერდი (ან საერთოდ არ დავწერდი) თემის იმ ნაირსახეობას, რომელსაც "სასკოლო თემას" ვუწოდებ, ანუ თემას, რომელიც საზოგადოებას არაერთგზის აქვს "გადაღვჭილი".


შეიძლება ყოველივე ეს სისულელედ, უაზრობად, ან უადგილოდ ჩათვალოთ, მაგრამ ამ ყოველივეს თავისი ახსნაც გააჩნია: როდესაც მე ვწერ თემებს, ყოველთვის წინასწარ ვფიქრობ, ჩემთვის ვმსჯელობ და თუ ფურცელზე არ გადავიტანე, ვიკარგები. კიდევ არის ერთი მიზეზი: მე ვწერ, შემდეგ ნაწერს აუცილებლად ვინმე კითხულობს, ანუ დამწერსა (და არა მწერალს!) და მკითხველს შორის საუბრისმაგვარი რამ წარმოიშობა, იმიტომ ცდილობ მომავალ თანამოსაუბრესთან გავმზაურდე, ჩემი სამყაროს კარის ჭურჭრუჭიდან, ღრიჭოდან "შევაჭყიტო", რათა მან ჩემი გაგება უკეთ შეძლოს.

მორჩა, მე მგონი, საკმაოდ ვიფიქრე, რაც შეიძლება, უბრალო შესავლად ან "არაფრად" ჩაითვალოს. ამას ყოველივეს თითქმის არანაირი კავშირი არა აქვს უშუალოდ თემასთან, მაგრამ ალბათ გამიგებთ, მე სხვაგვარად არ შემიძლია, მე უნდა ვესაუბრო ვინმეს, მაგალითად ისე, როგორც ჩემს დღიურს ვესაუბრობი.

"ჭურჭელს თიხისგან ამზადებენ, მაგრამ ჭურჭლის არს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის". პირველი, რაც "ამ ჭურჭელზე" გავიფიქრე, იყო: "ეს ჭურჭელი უთუოდ აღდამიანია. შეიძლება ვცდები და აქ აღამიანი არაფერ შუაშია, მაგრამ მე ასე მესმის და ასე ვწერ".

აღამიანი თიხისგან შექმნა ღმერთმა - ფრანზის პირველი ნაწილი ასევე შეიძლება გავიგოთ, მაგრამ ეს რაღას ნიშნავს - "ჭურჭლის არს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის"? ესე იგი, ჭურჭლის ჩემული გაგებით "აღამიანის არს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის"? ალბათ, ზოგიერთი მტყუყის კიდევ: "როგორ გვკადრება, რაც კი უაზრობა წამოგიტვიჭვდება გონებაში, ყველაფერი კი

"ჭურჭელს თიხისგან ამაზღვებენ, მაგრამ ჭურჭლის არს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის"



არ უნდა თქვა (ამ შემთხვევაში - დანერო!) მაგრამ ამასაც მოუჭებნენ თავისებური ახსნა და თუ ამ უაზრობით არ გადაიღალეთ, მოგახსენებთ:

აღამიანი. ჩემმა მეგობარმა ადამიანს საოცრად ლამაზი და ჩემთვის დასამახსოვრებელი განმარტება მოუჭებნა: "აღამიანი ზარდახშა, რომელშიც კითხვა ასვენია" (ამ "ზარდახშას" რამდენიმე ვარიანტია - ასეთი, სარკოვანი, სკიერი და ა.შ.). მანასადავმე, საქმე გვაცვს თიხის აღამიანისებრ ჭურჭელთან, რომელშიც სიცარიელე სუფევს, კითხვა ასვენია და მიელ არსსაც ემ წარმოადგენს.

აღამიანი იბადება, მას არსი არ გააჩნია. უფრო სწორად, მას გააჩნია არსი, რისთვისაც ის გაჩნდა ამ ქვეყნაზე. მაგრამ თვითონ ამის ბუნებას არაფერი იცის. შემდეგ კი იგებს, მაგრამ ბოლომდე ვერ სვდება მისი არსი რა არის. საერთოდ, მე მგონია, ადამიანი

მიანებს არა აქვთ გათვითცნობიერებული, თუ რა არის მათი არსი.

მაგალითად, სულ უბრალო შემთხვევას გეტყვით: არც მაიმურმა და სხვათა შორის, „ამხელა კაცმა“ - ბაბუაჩემმა, არ იცინა მათი ნამდვილი არსი, ალბათ უფრო მიზანი, დანიშნულება, ვთქვამთ ფუნქცია რა არის. ის ახე, უბრალოდ, მდებარე ამ წუთისთვის შრანგებზე და „გაგებებში არ არიან“, რა უნდათ, რისთვის მოვიდნენ და საკმაოდ ხშირად - „რა დაამავეს“.

შეიძლება ამ ჭურჭლის სიცარიელის „არსობა“ განპირობებულია მომავლით. ანუ: არ არსებობს „ცარიელი“, თუნდაც ადამიანი, თუნდაც უბრალო ჭურჭელი, ჭურჭლის არ შექცია ცარიელი, თუ არ აივსება. ცარიელი ნიშნავს, რომ ის ამჟამადაც ცარიელი, რომ ის ოდესღაც სავსე იყო, ან მომავალში აივსება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭურჭლის ერეკოდ უბრალოდ „ჭურჭელი“, მაგრამ არს-დაცარეობაში - ამ შემთხვევაში კი უარსო უარსობა, ფუჭს და არარას, ანუ უკვე არაფერს ნიშნავს და არაფერს როგორ შეიძლება რაიმე ერეკვას, თუ ის არ არსებობს!

ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ეძებს. ეძებს უპირველ შემთხვევებზე მასზეებს, რომლებიც, მისი აზრით, უნდა დაეკმაყოფილოს, აპოინენო უმთავრესი, რომელიც არც კი იცინა რა შეიძლება იყოს. უამრავი კითხვები, ძიება და საერთოდ, ეს ბრძოლა იმისათვისაა, რომ რაობა არარაობად არ იქცეს. რომ შემთხვევით (ან პირიქით) არ დაიკარგოს არსი და კიდევ ერთი „ფერი“ არ გახდეს „არა“.

ბრძოლა სულიერებისთვის. აქ არ ვსაუბრობ საკუთრივ ადამიანის სულზე, რომელიც ღმერთმა ჩააბერა ადამს და მას შემდეგ ყოველი ადამიანი „ხატად და მსგავსად ღმერთისა არს“. რუსებს აქვთ განსხვავება „რელიგიური“ და „საზოგადო“ სულებს (თუ შეიძლება ასე ითქვას) შორის - ეუქ ი ეუშუა. სწორედ საზოგადო სულის შენარჩუნებისთვის, მის ასამაღლებლად, განსაზღვრულად („განსაზღვრულად“ - ზამთარში იხმარება უშუქობის დროს, სოლო „განსაზღვრულად“ განაზღვრულ-იდან გამომდინარე, უფრო მისაღებ და აზრ-გაძლიერებელია, ჩემთვის) იბრძვის ადამიანი.

მე ვფიქრობ, რომ დაახლოებით ეს უნდა იყოს „მთელი არსი“ ყოველივე ამისა. ამ ყოველივეს საკუთარი თავიდან გამომდინარე ვნერ. ეს ჩემი მიზანია, მე მიზნად ვიყო სულიერად ამაღლებული. ეს ჩემი მიზანია და მე ვთვლი, რომ არსიც სწორედ ვე უნდა იყოს.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: ადამიანი, უხეშად რომ ვთქვათ, ასე თუ ისე, თავისით „ივსება“, ანუ „ჭურჭელი“ ივსება თავისით. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ჭურჭლის ავსება მოხდება სხვის მიერ? აქ „ჭურჭლისა და ადამიანის“ ცნებები, ცოტა არ იყოს და, განცალკევდნენ. როგორ შეიძლება ჭურჭელი თავისით აივსოს? ადამიანი, გასაგებია, მაგრამ ჭურჭელი? აი, ესაა შეუძლებელი და მიუღწეველი ყველაზეარტი ჭურჭლისათვის. სხვის დახმარებულად ჭურჭელი არ აივსება! სხვა საკითხია, ბოლომდე აივსება თუ არა ადამიანი - არა და ვერც (ჩვეულებრივი ჭურჭლის მაგალითის განხილვა სიმარტივის გამო უადგილოა)

ამ საკითხებზე, რაც ფარზის ირგვლივ წარმოიშვა, მე მაგონ, გასაგებია განმარტებები, შემოგთავაზებო. კიდევ მეტ ხანს რომ მეფიქრა, ჩემებურ ფილოსოფოსობის დამოკიდებულ და გადავეარდებოდი არარეალურ საყვარელო, ამიტომ საზოგადო განხილვით შემოვიფარგლები და დავაშთავრებო.

P.S. როგორც ყოველთვის, ვიტყვი ერთს: თუ დაგაინტერესათ (რამიც „უზარმაზარი“ ეჭვი შეპარება) ამ ყოველივემ (ჩემს მიერ გადმოცემულ აზრთა ქაოსსმა), კითხვებით მომმართეთ მე.



სტრილი

„გოდოს მოლოდინში“ - ნახეპარი საუკუნე

სანამ სემუელ ბეკეტის პიესა მსოფლიოს დიდ სცენებს დაიპყრობდა, ის პარიზის ერთ პატარა თეატრში იწვა. ეს მოხდა 50 წლის წინ, 1953 წლის 5 იანვარს. მაშინ „გოდოს მოლოდინში“ ვერავინ შენიშნა. ლონდონის სცენაზეც პიესა მხოლოდ ერთი ჩავარდნილი სპექტაკლით გამოწვეული სიცარიელის ამო-სავსებლად გადაიტანეს. თავიდან ვერც ლონდონელებმა გაიგეს რაზე, თვით მსახიობებიც კი დაბნეულები ჩურჩულებდნენ - ვინ არის ეს გოდო, ან ეს ორი ადამიანი - მანანალე-ნი? მასხარები?... თუმცა, მერე გოდო მოვიდა და ყველაფერს ნათელი მოეფინა: აღმოჩნდა, რომ ამ ორომბრიალში სემუელ ბეკეტს უწუმრად თეატრალური რეჟისურა მოუხდინა. ...პიესის ძალზე სანტიმენტსო ისტორიას იგონებს შექსპირის პიესების ყველაზე ცნობილი დამდგამელი, შექსპირის სამეფო საზოგადოება და დღონდის ნაციონალური თეატრის ყოფილი ხელმძღვანელი, სერ პიტერ ჰოლი - კაცი, რომელსაც „გოდოს“ პირველი ინგლისურენოვანი მსოფლიო პრემიერა ეკუთვნის.

იმეპა კოლი

გოდოსანი

„**გ**ოდო ერთ საათს ვიდრე საშაპეში და ვფიქრობდი. მერე დავასკვენი, რომ „გოდოს მოლოდინში“-ს წარმტება დღემდე არსებული თეატრისა და მისი ფორმების დასასრულს ნიშნავს“. რობერტ მორლიმ, ცნობილმა მსახიობმა, ეს 1955 წელს ინინასარმეტყველა. შუახნის პირატანებლმა (რომელსაც მორლიც ეკუთვნოდა) გაიზარავს მსახიობის ეს სასწორეკული ტონი. ჩემი თაობის წარმომადგენლები (ოციწლიანი ახალგაზრდები) კი გახარებულნი დარჩნენ.

გარდასახვის პროცესი ზუსტად 50 წლის წინ, 1953 წლის 5 იანვარს დაიწყო; მაშინ, როდესაც პარიზის 75-ადგილიანი თეატრში „გოდოს“ პირველი სპექტაკლი გაიმართა. იმ პერიოდში თუ რადიკალური თეატრალური სანახაობის ცქცევა გნებანდა, სწორედ საფრანგეთში უნდა ჩასულიყავით. ექვს იონესკოს სიურრეალისტური ხედვით, ყან-ბაროსა და მადილინ რენის კოლაბორირი ნაწარმოები, თუ ყან-ბოლ სარტრის პოლიტიკური ფილოსოფიით - პარიზი ლონდონს იოლადა ჩრდილავდა.

ამ ფონზე გამოჩნდა სემუელ ბეკეტ, კაცი, რომელიც მალე აღიარეს დიდ მოაზროვნედ. თუმცა, „გოდო“ მაშინვე ვერ შეამჩნიეს. საზოგადოების ცნობიერების დასაპყრობად პიესას რამდენიმე წელი დასჭირდა. იმ პერიოდში მეც გაგივცე რომ პარიზში „გოდოს“ პრემიერა გაიმართა. ახლა კი მრცხვენია, ვაღიარო, მაგრამ მის სანახავედ არ წავსულიარ. მეტიც, იმ პერიოდში აზრადაც კი არ მომხვლია, რომ მალე „გოდო“ მთელი ჩემი ცხოვრების მმრძანებელი გახდებოდა.

“გოდომ” თეატრი თავის მეტაფორულ ფესვებს დაუბრუნა. მან ჯერ ექვემდებარება დააყენა, შემდეგ კი დაამარცხა კიდევ ცალსახა ნატურალიზმის საუკუნე, როდესაც მთელი დეტალური გადმოცემული ოთახი, უზარალოდ, ოთახს ნიშნავდა და მეტს არაფერს. ნაცვლად ამისა, “გოდო” გეთავაზობდა ცარიელ სცენას, ხეს და ორ კაცს, რომლებიც ელოდნენ და გადაარჩენენ. დანარჩენი ამისთვის თქვენსავე წარმოსახვაში უნდა შეგესხათ ფრთები. სცენა “გოდოში” იყო მარადუწყვეტი ცხოვრების სახე; ცხოვრებისა, რომელიც მიედინებოდა და იღვრდა იმედითა და სასოწარკვეთაში, მეგობრობასა და მარტოობაში.

კინოში დღემდე არაფერი შეცვლილა - მიუხედავად იმისა, რომ კინო-ეკრანზე წარმოდგენილი გამოსახულებები მოციმციმე შუქითაა “დამზადებული”, ისინი მაინც საოცრად რეალური გვეჩვენებენ. თეატრში კი “გოდომ” სწორედ ეს მიდგომა შეცვალა. ბეკეტის შემდეგ სცენა იქცა ფანტაზიითა საუფლოდ. ფილმი ძველებურად დარჩა ცხოვრების მსგავსი, თეატრი კი გახდა მეტაფორა თვითონ ცხოვრების შესახებ.

1955 წელს, პარიზული პრემიერიდან ორი წლის თავზე, მე 24 წლის, ძალზე იღბლიანი ახალგაზრდა გახლდით. ვმუშაობდი თეატრში (ლონდონში, გრეთი ნიუპორტ სტრიტზე) და მეგალებოდა ყოველ ოთხ კვირაში ერთხელ თითო პიესა დამედგა. მართალია, რუსულენოვანი მინიმალური იყო და არცთუ კარგად მიხდებოდა (7 ფუნტი კვირაში, თავისი საუბრის ბარათებით), მაგრამ უბედნიერესი ვიყავი იმითაც, რომ ახალი თუ ძველი პიესების დადგმის საშუალება მქონდა. სხვათა შორის, დავინიყ “გაკვეთილი” და ეს გახლდათ პირველი იონესკო ბრიტანეთში.

შემდეგ მოვიდა გოდოც. ადრეული ზაფხული იცა. იუჯინ ონილის პიესა Mourning Becomes Electra-ზე ვმუშაობდი, როდესაც გაირკვა, რომ კიდევ ერთი სცენარი მქონდა. უესტ-ენდის ნამყვანმა იმპრესარიომ, დონალდ ელბერნიმ მომისცინა, რომ, თურმე, “გოდოზე” მუშაობას ყველა შეთქმულივით არიდებდა თავს - რეჟისორებაცა და მსახიობებიც. არადა, პიესა ჯერაც იდგმებოდა პარიზის ერთ-ერთ მცირე სცენაზე, პარალელურად ბეკეტს ნაწარმოები ინგლისურ ენაზეც ეთარგმნა და ახლა ელბერნი იდგარ ჩემს წინ და მეკითხებოდა: ხომ არ გეწყნებათ სურვილი, “გოდოს” ინგლისურენოვანი მსოფლიო პრემიერა თქვენ გააკეთოთ.

გონება დავაძებ. სათაური საიდანღაც ბუნდონდა მხ-

სოვდა. ისიც მომაგონდა, რომ მას რაღაც კავშირი ჰქონდა ჯეიმს ჯოისთან.

შემდეგ სცენარი წავიკითხე და გადაწყვიტე, ბედი მეცადა. ახლა არ მოვეყვები იმის მტკიცებას, რომ თითქმის მაშინვე გავიზარე - პიესა მეოცე საუკუნის დრამატურგიაში გადატარებულას მოახდენს-მეთქი. ბუნებრივია, ეს წარმოედგინა მოგვიანებით შემქმნა. თუმცა, ერთი კია, სცენარის განცნობისთანავე მივხვდი - “გოდო” მომავალივითად ორიგინალური იყო. ის ყოველად არადრამატულ მდგომარეობას (ისეთს, როგორიცაა ლოდინი, ეჭვი, მარადიული გაურკვევლობის განცდა) ბუნებრივად გარდაქმნიდა მძაფრ, დაძაბულ მოქმედებად. “გოდო” სრულყოფილი ავტოფუნქციონირებას გახლდათ. მასში ფორმა და თემა მელოდურად ერწყმოდა ერთმანეთს. ის სახაცილო იყო. ის იყენებდა ვოდვილის ჯვარდნის საუბრის ტრადიციას და მას პოეზიად აქცევდა...

როგორც იქნა, ონილის პიესა “სცენაზე გავემზავრე” და თავიდან დასავენებლად ესაანეთს მივაშურე. თან პრუსტის 12-ტომიანი წიგნი - ინტელექტუალური განტვირთვის მიწყობა მსურდა.

ლონდონიდან გამოგზავნილმა დეკუმამ მეცხრე ტომზე მომისწრო: მატყობინებდნენ, ზაფხულის ამ პაპანატეხაში ონილის პიესა თითქმის ჩავარდაო და საჭიროაო მისი ახალი სექტაკლით სასწრაფოდ შეცვლა. სხვა რა უნდა მექნა - დაუყოვნებლივ მივატოვე პრუსტიცა და შევბუნდებოდი და ესაანეთიდან პირდაპირ რეპეტიციაზე “შევერდი”. იმ 12-ტომიულს კი ველარასდროს მივუბრუნდი.

...ვეჭვობ რეპეტიციების პროცესი მე უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, ვიდრე მსახიობებს. საოცრად გამიჭირდა მათი დაშოშვინება. მთელი დასი დაბნეული ჩანდა. ვერავის გაეგო, ვინ იყვნენ ეს გმირები, საიდან მოდიოდნენ, საით მიისწრაფვიდნენ, მასხარები იყვნენ, თუ რაღაცის სიმბოლოები, თუ, უფრო მარტივად - მანანალები?

მე კი ბეკეტის რიტმებს ძალიან ძალიან გავუშინაურდი. მის სტრიქონებში თავს უსაფრთხოდ, შინაურად ვგრძობდი. ეს ნამდვილი დრამატული პოეზია იყო, არა სელფ-ნორი, არამედ ორგანული. დღე დღეს მისდევდა, მე კი სულ უფრო ნაკლებ მანუხებდა კითხვა - მაინც რას გულისხმობს პიესა. ბეკეტს ხომ გულისხმობდა ზუსტად იმას, რასაც ამბობდა: ორი კაცი ელოდა გოდოს. აღარც იმაზე ვფიქრობდი, თუ ვინ იყო გოდო, რადგან მივხვდი, რომ მისი ვინაობა თავად მაცურებელს უნდა განესაზღვ-



კობულაშვილი, მანანაძე, პიესა „გოდო“ და ნანა კობულაშვილი (მარჯვნივ)



რა - გოდო იქნებოდა ის, რასაც აუდიტორია თავისი შემდეგებით, რწმენით, ან სულაც ურწმუნოებით გადამწყვეტდა.

უკვე პრემიერის წინ კი, ბოლომდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ, მთელ დასს დარბაზისთვის რაღაც განსაკუთრებული სანახაობა გვეჩინდა მოხვადებულად.

პირველ წარმოდგენას მართლაც შოკი მოჰყვა. იყო აბოლდისმენტები და იყო უარყოფითი ემოციაც: „არაფერი ნდება, არავინ მოდის, არავინ მიდის. ეს რა საშინელებაა“. დარბაზიდან: მესმოდა სუფთა ინგლისური შეძახილიც: **Hear! Hear!** (ცერვა, ეგრეს)

მეორე დღელამ კი არც თუ სასიამოვნო საგაზეთო რეცენზიები მოიტანა. ყოველ სტრიქონში იკითხებოდა ირონიკა: „ეს უნდა და მდებარეობა“, - წერდა ფილია გაოტუ-უოლასი „გარდინიდან“. „ეს გახლდათ სახანძრო გოურკველილობის საღამო“, - იყო „ტელეგრაფის“ ვერდიქტი. „მატყობს სემუელ ბეკეტმა (ეს გახლავთ ირლანდიელი, რომელიც ფრანგულ ენაზე წერს და ერთ დროს ჯოჯოსის მიდანი იყო. ეს კი აშკარად ავისმიერსააწველებლი კომპანიციაა, ხედავთ, არა?) შექმნა ბანაილოროსისა და არაფრანსთქველი ფრაზების ღირსშესანიშნავი ნიმუში“ - დაასკვნა კრიტიკოსმა და მესვეტემ, ბერნარდ ლევიმ.

ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ პიესა სცენიდან კვირის ბოლოსთვის უნდა მოქსნათ. მე კი ვვევდინებოდი თეატრის მეპატრონეს, როგორმე დაეცადა და განაჩინი სპექტაკლისთვის საკვირაო რეცენზიების შემდეგ გამოეტანა. ვგრძნობდი, რომ ვიღაც მადლიანი სპექტაკლის ორიოდ კუთლი სიტყვას შეაწყვედა და მას დაღუპვისგან იხსნიდა.

ანუ, ვგრძნობდი, რომ ჩემი გოდო აუცილებლად უნდა მოსულიყო, მიუხედავად იმისა, რომ საგაზეთო წერილების ფონზე, მის გამოჩენას პირი არ უჩანდა.

საბედნიეროდ, იმედები გამიძარდიდა. გოდო ჩემთვის ნამდვილად მოვიდა. ის „სანიღ ტაიმის“ კრიტიკოსში, პაროდულ პოპოსონში განსხვულდა.

...მოპოსონი სპექტაკლზე კიდევ შვიდ კვირას წერდა. შემდეგ თავი გამოიდო ქვეთ ტიანენმა, მაგრამ (მოპოსონისგან განსხვავებით) მან მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გაიზარა ბეკეტის მიერ მოხდენილი რევილუციის მნიშვნელობა. თუმცა, დასასწავლისთვის მისი ეს აღიარებაც კმაროდა: „პიესამ მაძიულა, ნელსადა გადაამტყდა ის კანონები, რომლებიც დრამატურგიას დღემდე მართავდნენ“.

ჩემდა გასაოცრად, ლონდონი უკვე გაოდომიანი იყო ავად. პიესა განხილვის უმთავრესი საგანი იყო. მასზე მსჯელობდნენ - ალტკინებითა და სიამოვნებით, აქებდნენ, აანალიზებდნენ, ინუწებდნენ, სატყავდნენ კარიკატურებს. მას განიხილავდა „პარონაზა“. დასცინოდა მწერალი და სოც-კრიტიკოსი, მაღკომ მავერიჯი. მას აღიქვამდნენ, როგორც ცვი ომის ალტკორიას.

...ასე დაიბრუნა მეტაფორამ კუთვნილი ადგილი და

გაგლენა თეატრში. რის შედეგადაც უკვე იოლად გაიკვალა გზა პაროდულ პინტურისთვის, ჯო ორტონისთვის, ედვარდ ზონდისა და ვაერთოდ მთელი ამ თაობისთვის...

ხშირად ამტკიცებენ, რომ 1956 წელი და ჯონ ოსბორნის Look Back in Anger-ის პრემიერის პირველი საღამო ბრიტანული თეატრის ხელახლა დაბადების თარიღია. უდავოა, ოსბორნმა მთელი თაობა შეცვალა. მაშინ რევოლუცია მართლაც დანიყო. თუმცა, Look Back in Anger იყო 1930-იანი წლების ნატურალიზმითა და ძველი თეატრის მრავალნაწიდი მეთოდებით დადგმული სპექტაკლი. სპექტაკლი, რომელსაც ნათლად ჩამოყალიბებული და სტანდარტული ფაბულა აქვს. სწორედ ამ მიზეზის გამო ის დღეს ყავლგასული, დრომოჭმული გვეჩვენება. მეტიც, ვფიქრობ, რომ ჩემმა თაობამ ეს სპექტაკლი გაზივადებულად შეაფასა. მას გაცილებით უფრო მეტი პოლიტიკური რევოლუციის ნიშნები მიაჩნდა, ვიდრე ეს პიესაში რეალურად იყო. თუმცა, ესეც იოლი სახსენებია - იმ პერიოდში ჩვენ პოლიტიკური რევოლუცია მაყრივით გვეჭირებოდა და მას ყველგან გადაამტყებელი დოზებით დაეძებოდა და გებედობით, თვით ოსბორნის პიესაშიც კი.

Look Back in Anger-ისგან განსხვავებით, ბეკეტის ქმნილებამ დროს გაუძლია. ის დღესაც, ახალ ეპოქაშიც, პოეტური შედეგია, რომელიც სპობს ყოველგვარ საზღვარსა და ნაციონალიზმს. „გოდო“ გახლავთ თანამედროვე დრამის სანყისი სპექტაკლიც; პიესა, რომელმაც თეატრს ძველი პოეტრცია და პოეზია დაუბრუნა. და დღეს ის უკვე აღარავის ეჩვენება ბუნდოვანი.

1997 წელს „გოდო“ „ოლდ ვიკის“ ცენტაზე კარგე ერთობლ დადგვი. ჩემი 16 წლის გოგონა ძველი გაბარადა, როდესაც სპექტაკლის პროგრამაზე თანდართულ, პიესის ისტორიას გავეცნო. „ვითომ, რას ნიშნავს ეს? ისევე ხომ დღესავით ნათელია, რომ რას ეტება პიესა უზრალოდ საჭიროა, უსინო!“ - ...როგორი სულელური გვეჩვენება, არა, დღეს ის ფაქტი, რომ 50 წლის წინ საზოგადოება ვერაფრით იფერებდა, რომ ბეკეტის ეს პიესა ნამდვილად პიესა იყო.

ასეა თუ ისე, ავგისტოს იმ ლონდონური საღამოს შემდეგ „გოდო“ „პირველ მოგზაურობაში“ წავიდა. სპექტაკლმა მთელი მსოფლიო შემოიარა და მისი წარმატება დღესაც გრძელდება.

1955 წელს პირველად ჩატარდა „ივინგ სტანდარტის“ დრამატურგიული ჯილდოების გამარჯვების ცერემონიალი. მსჯელობა „გოდოს“ შესახლო გამარჯვების შესახებ მიდოდა. რადგანაც სპექტაკლის რევიზორი მე ვიყავი და ერთიანი შედეგიდ, მხის უფლება ჩამომართვეს. ემოციებით მატირც კი გაუდუნებოდა იყო. „გოდოს“ ოპოზიცია და დირიჟორი მაღკომლმ სარჯენტი კატეგორიული ტონით ამტკიცებდა, რომ „საუკეთესო პიესად არჩევის შემთხვევაში თანამედრობიდან გადადებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არავინ დაუშვა. მაშინვე გამონახეს ცნობილი ინგლისური კომპრომისი და ჯილდოს სახელი და, შესაბამისად, არიც შეუცვლეს. „გოდო“ წლის საუკეთესო პიესის ნაცვლად, წლის ყველაზე საკამათო პიესა გახდა.

ეს გახლავთ პირი, რომელიც იმ წლის შემდეგ აღარ გაცემულა. „ივინგ სტანდარტის“ დრამატურგიული ჯილდოების ცერემონიალმა კი უზრუნველი მომავალი გაიზადა.

„გარდინი“, 2003 წლის 4 იანვარი

ინგლისურიდან თარგმნა მხამარი ბაბუაშვილი



ბრუნს აპინსონი

სამუელ გეკეტის „გოდოს მოლოდინში“



გუშინ საღამოს ჯონ გოდდენის თეატრში წარმოდგენილ იქნა სამუელ გეკეტის „გოდოს მოლოდინში“. ესაა იდუმალდები მოცული მისტერია.

შეიძლება მოგწუხდეთ ამ უჩვეულო დრამამ, რომელშიც გამოთქმულია მეღაჭოლოური ქეშმარიტებები ადამიანთა მოდგმის განწირულების შესახებ (გეკეტი ირლანდიელი მწერალია, რომელიც, დიდი ხანია, ცხოვრობს პარიზში და გარკვეული დროის განმავლობაში ჯოისის მივების მოვალეობებს ასრულებდა).

ბეკეტის ქმნილების შინაარსის ჩამოყალიბება ძნელი საქმეა; მწერლის სტილისა და თვალსაზრისის შესაფასებლად საჭიროა ორი ლიტერატურული ფენომენის გათვალისწინება. კერძოდ, ბეკეტის თვალსაზრისი სამყაროს შესახებ სარტრის ნაზრევს ემყარება. ის პირქუშია, უმეცრო, შემზარავი. პიესის სტილი კი გვაგონებს ჯოისის დრამატულსა და უჩვეულო სტილს. გააერთიანეთ ისინი და შეგვემჩვენება გარკვეული წარმოდგენა ბეკეტის კარიკატურაზე კაცობრიობის ისტორიის შესახებ.

დრამის პერსონაჟებიც: ოთხი თავგზაბანეული მამაკაცი, გულბერყვილო ბიჭი, რომელიც ორჯერ გადასცემს მთავარ გმირებს შეტყობინებას გოდოსგან, მომიშვლებული ხეცა და დედამიწა. ორი გმირი ელოდება გოდოს, რომელიც არ მოდის. დანარჩენი ორი კი არის მამულის მფლობელი და, აგრეთვე, თოკზე გამოხმული მონა, რომელიც განუწყვეტლივ ტირის და ბარბაცებს.

ვინაიდან „გოდოს მოლოდინში“ ალეგორიაა, მაყურებელი, ბუნებრივია, ეძებს მის მნიშვნელობას. უეჭველია, რომ გოდო განასახიერებს ღმერთს. ისინი, ვინც მოშიშვლებული ხის მასლობლად დაყიალებენ, ამაოდ ელიან სხნას.

პიესის სხვა სიმბოლოები ძნელმისახვედრია. მაგრამ ეს არაა ავტორის საგანგებო პოზა. ბეკეტის დრამა იძლევა ზოგად წარმოდგენას თანაგრძნობის, სისასტიკის, მეგობრობის, იმედის, ღალატის, ბინიერების და, ბოლოს, ადამიანის არსებობის სასწაულის შესახებ. ღვთის რწმენა თითქმის გაცამტვერებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს (და დრამაში შეიგრძნობა) მისი ილუზია. ბეკეტი რწმენას მიიჩნევს ადამიანის არასაიმედო სულიერ საყრდენად, მაგრამ არ ძალუძს მისი სრული უარყოფა.

თუმცა „გოდოს მოლოდინში“ მეტად რთული პიესაა, მაგრამ რეჟისორსა და მსახიობებს, როგორც ჩანს, გაუ-

აზრებიათ მისი თითოეული რეპლიკა. ჰერბერტ ბერგმოდის სპექტაკლი (ლუი კუნელის სადა დეკორაციები) მარტოა, რომ შესანიშნავია. ბერტ ლარმა ბრწყინვალედ განასახიერა მანანალა „გოგო“, რომელშიც ხორცშესხმულია ყველა ჭკუდაფანტული ადამიანი, რომლებიც ვერ ჩასწვდომიან საკუთარი არსებობის საზრისს.

ბეკეტის დრამაში არაფერი ხდება, მაგრამ ლარის მიერ პანტომიმური საშუალებების გამოყენება სპექტაკლს სანახაობრიობასა და მიმზიდველობას ანიჭებს. ბუფონადური გამოცდილება საშუალებას აძლევს მსახიობს, შთამბეჭდავად წარმოადგინოს თავისი პერსონაჟი.

სხვა მსახიობების თამაშაც უნაკლოა. ი.ჯ. მარშალი, როგორც მეორე მანანალა, კურტ კაცნარი, როგორც მრისხანე ბატონი, ელვინ ეშტეინი განანამები მონის როლში და, ბოლოს, ლუიკინო სოლოტოვიე სოლისის მიერ განასახიერებული მწყემსი ბიჭი იმგვარი ანსამბლია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენის ექსპრესიულობას.

სიამის მეფის თქმით, „გოდოს მოლოდინში“ „საგონებელში გვაგდებს“, მაგრამ ბეკეტი სულაც არ გახლავთ შარლატანი. ის მძაფრად განიცდის კაცობრიობის დერადაციას და ამ შეგრძნებას მთელი სიცხადით გამოხატავს თავის ნაწარმოებში. „გოდოს მოლოდინში“ აზრების დრამაა, რომელიც გვაბნებს, თუმცა ბევრ რამეში გვარწმუნებს კიდევ, შეიძლება, ზოგიერთმა თეატრალმა გაკიცხოს პიესა, მაგრამ მისი იტინირება შეუძლებელია. რადგან ბეკეტი ქეშმარიტი შემოქმედი.

1956, 20 აპრილი

ინგლისურენოვანი თარგმანა მთავარ ლომიძემ



ნოვან პერლინი

რატომ

მაინცდამაინც

“გოდოს

მოლოდინში”

სემუელ ბეკეტი ათი წლის წინ გარდაიცვალა, ახლა კი მეოცე საუკუნის მინურულია და ეს ნარკვევი ჩემს ნაცვლად მისი "Endgame"-ის პერსონაჟს, კლოეს რომ დაენერა, უთუოდ ასე შეგვეგმიანებოდა: ეს საუფუნეც "დასრულდა, ამონურა, თითქმის დამთავრდა, ალბათ დამთავრდა". ამას წინათ "გოდოს მოლოდინში" მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანეს ინტელსურენთან პიესად დაასახელა 800-მა გამოკითხულმა - დრამატურგებმა, მსახიობებმა, რეჟისორებმა, ჟურნალისტებმა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვიკითხოთ: "რატომ მაინცდამაინც "გოდოს მოლოდინში"?"

ორლანდეელი ბეკეტი 1989 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა პარიზში, ქალაქში, სადაც თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა. "New York Times"-მა მხოლოდ 27 დეკემბერს გამოაქვეყნა მისი ნეკროლოგი პირველ გვერდზე ასეთი სათაურით: "83 წლის ასაკში გარდაიცვალა სემუელ ბეკეტი. მისმა "გოდომ" გადატრიალება მოახდინა თეატრალურ სამყაროში". სხვათა შორის, ბეკეტის ოჯახსა და ახლობლებს არც მისი ავადმყოფობა გაუხმაურებიათ და არც გარდაცვალება, სამოქალაქო პანაშვიდზეც უარი განაცხადეს. მისი დაკრძალვისას ერთ-ერთმა ორატორმა ისიც აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მასთან გამოთხოვებს უამრავი ნაცნობ-მეგობარი მოისურვებდა, სემუელი სწორედ ასეთ მოკრძალებულ ცერემონიას მიანიჭებდა უპირატესობას. ამაში ეჭვიც არ მეპარება! ბეკეტი იყო მტკაღ ჩუმი, შეიძლება ითქვას, მორცხვი ადამიანი, მუდამ თავს რომ არიდებდა სახეიმი შეხედვრებს და არც საკუთარ პოპულარობას დაგიდევდათ. დიას, მას მოეწონებოდა ეს მოკრძალებული ცერემონია მონპარნასის სასაფლაოზე? ბეკეტის ბიოგრაფი, ჯეიმს ნოულსონი ერთგვად აღნიშნავს, რომ დრამატურგის დაკრძალვის შემდეგ, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ასობით ადამიანი მიდიოდა მის საფლავზე თავგულებით ხელდამშვენებული და ტოვებდა სხვადასხვა ენაზე შედგენილ გამოსათხოვარ სიტყვებს. მე კი ბეკეტის საფლავს ერთ მოქუფრულ, ღრუბლიან დღეს მივაშურე და იქ არავინ დამხვედრი,

ქითაში ჩარჩენილ მიმჭნარ ყვავილასც მწუხარედ დაეხარა თავი. ძლივს შევინშნე მრტყელი ქვის ფილა, რომელზეც მხოლოდ მისი და მისი მუედლის, სიუზენ ბეკეტის სახელები და გარდაცვალების წლები იყო ამოტყვიფრული. ცხადია, მე ეს არ გამევირვებია, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო მისი საფლავი, სხვა, მდიდრული ფილენი და მასიური მონუმენტებით დამქიმებული საფლავებისგან გამორჩეული. თავად სასაფლაო მოასფალტებული გზებით იყო დასერილი, საფლავები ისე მჭიდროდ მიტმასნოდნენ ერთმანეთს, რომ ახლომასლო ბალახის ღერიც კი ვერ აღმოვიჩინე. ცივი, პირქუში ადგილი თითქოს სენტქმენტალურობის უფლებასაც არ მიტოვებდა, და მაშინ ესეც გამართლებულად მომეჩვენა: ბეკეტი ხომ ის მწერალი იყო, რომელიც სინარაღულსა და გულჭვილობას არასოდეს აიცივებდა თანაგრძნობასთან. ერთი სიტყვით, მის სამარესთან დიდ მწუხარებას არ მივეცივარ, მით უმეტეს, რომ თავად ბეკეტი (როგორც ამას მის ცალკეულ გამონათქვამთა და ნანარმოებთა უმრავლესობა მიგვანიშნებს) ქვეშეცნეულად ყოველთვის მიისწრაფოდა სასაფლაოსკენ, იმ შევნიშაკენ, რომელსაც სიუზემ უჭყია. იმ წუთის მწერლის დაუენყარი, ერთი შეხედვით, ორანზროვანი სიტყვებით გამახსენდა მისი უკანასკნელი პროზაული ნანარმოებიდან ("Stirrings Still") - "ყველაფერი დასასრულისკენ მიეყანება". ამით ის ან სინაწულს გამოიქვამდა,



ფოტო: ჯანა ჯანაშვილი (საქართველო) - „გოდოს მოლოდინში“

ან იმის იმედს, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი დასრულდება. აქ, ალბათ, უფრო იმედი უნდა ვიგულისხმოთ. ათი წლის წინ დამთავრდა ბექეტისთვის ხანგრძლივი მოლოდინი, მაგრამ მისი „გოდოს“ მანანალები კვლავ ცოცხლობენ სხვადასხვა ქვეყნის თეატრებში და მსოფლიოს სცენებზე დღემდე გახსენებულნი ელიან რაღაცის თუ ვიღაცის გამოჩენას. ისინი ალბათ ჩვენც გვეგაიან, მაყურებელს, და ჩვენც არ უნდა დავიზაროთ თეატრად წოდებულ შენიშობაში მათი მოჩანხულება.

ჰიუსა, რომელმაც სატყვენოდ გაუთქვა სახელი ბექეტს, თავდაპირველად მან დრამატული ენაზე დაწერა და მოგვიანებით თვითონვე თარგმანა ინგლისურად. ეს თითქმის ერთგვარი სიუჟეის მოთქმა, განტიკრიოთა იყო მისთვის რომანტიკოსის (Molloy, Malone Dies, The Unamiable) როდულ პრინციპთან შეჭიდების შემდეგ. იოლად დაწერა ბექეტმა „გოდო“, სულ რაღაც ოთხ თვეში გაასრულა. რეჟისორები კი ასე იოლად ვერ დაარწმუნა, რომ ლარდა მისი სცენაზე გაცოცხლებდა. სიუჟენი, მწერლის უსილოესი მეგობარი და მომავალი თანამეცხედრე, თეატრიდან თეატრში დადიოდა, რეჟისორებს ჰიუსის ნაეითებს აძლებდა და ვისაც კი მოიხატებოდა, ყველას უტოვებდა სცენარს. და აი, ბოლოს, როჯერ ბლინმა, ამ შესანიშნავმა მასხიობამა და რეჟისორმა, რომელსაც არ აფრთხობდა ორიგინალური სცენარები (და რომლის თეატრიც თითქმის სულ ცარიელი იყო, რაც, ბექეტის აზრით, იმას ნიშნავდა, რომ ის რაღაც ფასეულს აკეთებდა), გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ხელი. 1953 წლის 5 იანვარს, რიც დამრკობდებოთა გადაღების შემდეგ, ჰიუსა დიდგა პარიზის თეატრ „აბალიონში“ და, იმ დღიდან მოყოლებული, ბექეტის სახელზე ყველას პირზე ეკერა, ანუ, როგორც მისი ბიოგრაფი ნოულონი იტყობს, იგი „დიდებისთვის შექცა განწირული“ (მან მწერლის ბიოგრაფია წწორედ ასე დაასათარჯნა: „დიდებისთვის განწირული“). მას შემდეგ განაღდა კამათი „გოდოს“ ორგანიცი, ზოგი თანატოლი და კრიტიკოსი შეცხუებული და უკმაყოფილო ჩანდა, ზოგი კი აღტაცებას ვერ ფარავდა. წწორედ აზრთა ამ შესლა-შემოხლამ გამოიწვია პარიზის დაინტერესება ბექეტის უჩვეული ნაწარმოებით - სადაც და როდესაც არ უნდა დადგმულიყო, ყველგან გულის-ფანცხლით ელოდნენ ფარდის ახლას.

აბა დავიფრადით, როგორ უნდა აღეცა მაყურებელს „გოდო“, ჰიუსა, რომლის ძირითადი „მოქმედებაც“ ლოდინი გახლდათ - 1950-იან წლებში, როდესაც იგი ოსბორნის ყოფილი დრამატი („მოთოვ რისხავა“ და ონილის რეალისტიური შემდგომი („ხანგრძლივი მოგზაურობა ღამეში“) იყო გადებივრებული? მაშინ სიმ დარბაზი დრამის-გან სარიტერსო ამბავს ელოდა, ძირითადად კონფლიქტური ხასიათისა და ეს კონფლიქტი უნდა ყოფილიყო პერსონაჟთა ხასიათის გამოვლენის საშუალება ბექეტს კი თამამად შეაქცია ზურგი და ტრადიციას, „უმოქმედობაზე“ ააგო თავისი ნაწარმოები და დასაწყისშივე გვაუწყეს, რომ „ალარდფერი გვეშვლებოდა“ (Nothing to be done). არავითარი სიუჟეტი, მხოლოდ რაღაც სტატკვიური სიტუაცია დრამატურგი გონივრულად აიძულებს მაყურებელს, ელოდოს „რაღაცის“ მოხდენას სცენაზე - ისევე, როგორც მისი მანანალები ელიან რაღაცას ცხოვრებაში. დეკორაციაც ერთბაშად შწირა - ორბოლად და ხე. და ამ თითქმის შუშველ სცენაზე ორი მანანალება - ესტრაგონი და ვლადიმირი, ანუ გოგო და დიდი, ზოგადი ხასიათის მსგელოებით არიან დაკავებული, ერთბაშე ტრიკალურ აზრებს გამოთქვამენ, მაგრამ ზოჯერც ისეთი რამეც წამოსცდებოდა, ღრმად რომ შეიძლება ჩაგვაფიქროს, სედასაც რომ გამოხატავს და სასოვნლასაც - ისინი ხომ ჩვეთავს უსწონ ვინმე გოდოს გამოჩენას ელიან. მერე სხვა პერსონაჟებიც ჩნდებიან სცენაზე - დიქტატორის

ყველა თვისებით შემკული პოზო, სულ ერთთავად მითრახს რომ ატყლაშუნებს და თოკით მიათრევს ტვირთაკიბებულ მასხარსა თუ მინას, სახელად ლაკის. შემდეგ ისევ რაღაც ბუნდოვანი დაილოკო, ჩვეულებრივ უფრო ლაკის საშაზოდ გრძელ ტირადასაც რომ შეიცავს და პატრონ-სამა დროებით ეშვებოდება მაყურებელს. პირველი მოქმედების დასასრული გვეცხადება ბოი (Boy), რათა დიდის და გოგოს აუნწყოს, რომ გოდო იმ ღამით მისე-ვმა ვერ ახერგებს, მაგრამ ხვალ კი, წესით, აღრავლებ-მა უნდა უშვშალის ხელი. ორი მანანალება ნასვლას გა-დანწყვტს: „მამ კარგი. აბა, ჩვენ წავედი“. მაგრამ „ადგილიდან არ იძვრია. ფარად“. მეორე მოქმედებაშიც იგივე უმოქმედობა - მოლოდინი და სხვა-ბაასი. პოზო და ლაკი კვლავ ჩნდებიან, ოლონდ აშვერად პოზო ბრმაა, ლაკი კი მუნჯი, მერე მიდანი, კვლავ შემოიჭრება სცენაზე ბოი, რათა ადრინდელი ინფორმაცია გაუმეოროს მანანალებს, დიდი და გოგო ისევ დააპირებენ ნასვლას, მაგრამ არსადაც არ მიდანი. „ისინი ადგილიდან არ იძვრია. ფარად“.

ხომ გასსვით, როგორ მღერის ჰევი ლი: „... ესეც ასე, სულ ეს იყო?“ ჩვენც შეგვიძლია იგივე კითხვა დაგვსვით (არ არის აუქმებელი მასპიტი ნახილმორით). მაგრამ ასე თუ მივედგებით საკითხს, მაშინ ვეღარ აღვიქვამთ ბიუსის მთელ ხიბლს, უჩვეულობას, მოქმედ პირთა სისხარულსა თუ ტანჯვას, მათ სასიერო აკვირებებს და არც გოდოს ვინაობა დაგვაინტერესებს. „ვინ არის გოდო?“ - აი, ეს გახლავთ მთავარი კითხვა, თუქცა ჰიუსა უმარად სხვა კითხვასაც ბადებს. როდესაც აღან შწაიდერმა, რეჟისორმა, ვისი დადგმობაც ბექეტის აღტაცებული იყო, ეს კითხვა დასვა, დრამატურგმა დინჯავდ უპასუხა: „ეს რომ მცოდნოდა, არც დაგიპალავდით“. ბექეტს აოცებდა ჰიუსასთან დაკავშირებით გაჩენილი ყველა პიპოთება, მისი სისმართლის გაშიფვრის ყოველი მცდელობა და ასე ეცილობდა ცნობისმოყვარეთა დაშვებებს: „ერთი მითხარით, რა საჭიროა ასეთი მარტივი რამის გართულება“.

